პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი, ხუთშაბათი, 2 აგვისტო, № 178 (17523). ფასი 2 კაპ.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

### 1979 წლის პირველ ნახევარში კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ასამოქმედებლად გაჩაღებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1979 წლის პირველ ნახევარში კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ასამოქმედებლად გაჩაღებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს:

„ენგურჰესის" მშენებლობის სამმართველო.

**საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით**

№ 14 და 15 ტრესტები, ქალაქ ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატი და ტრესტი „საშენმასალა".

**საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით**

№ 4 და 12 ტრესტები.

**საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით**

საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეული", თბილისის კერამიკის კომბინატი, თბილისის საშენ მასალათა კომბინატი, ჩხარის ფილების ქარხანა, სოხუმისა და სადახლოს მარმარილოს მაღაროთსა- [illegible] სამმართველო, „მონტაჟთერმონაკეთობის" სამმართველო.

„საქქალაქმშენის" სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი.

აღინიშნა, რომ არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ: საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით — № 2, 3, 5. 6, 7, 8, 9, 10, 11, 13 ტრესტები, „სპეცმშენი", „მშენინდუსტრია", ზესტაფონის, ბათუმისა და რუსთავის სახლთსაშენებელი კომბინატები; საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით — № 1, 2, 3, 6, 7, 11 ტრესტები; საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით — ახმეთის, მცხეთისა და სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატები, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა.

გამარჯვებულთ წაახალისებენ.

(საქინფორმი).

### 1979 წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვისათვის გაჩაღებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1979 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს:

**პირველ ზონაში:**
თელავის რაიონი — პირველი ადგილი
მარნეულის რაიონი — მეორე ადგილი
ახმეტის რაიონი — მესამე ადგილი

**მეორე ზონაში:**
მცხეთის რაიონი — პირველი ადგილი
ლენინგორის რაიონი — მეორე ადგილი
მესამე ადგილი არავის არ მიკუთვნებია.

**მესამე ზონაში:**
ადიგენის რაიონი — პირველი ადგილი
ასპინძის რაიონი — მეორე ადგილი
დუშეთის რაიონი — მესამე ადგილი

**მეოთხე ზონაში:**
ცაგერის რაიონი — პირველი ადგილი
ონის რაიონი — მეორე ადგილი
ლენტეხის რაიონი — მესამე ადგილი

**მეხუთე ზონაში:**
ქ. ტყიბულის ზონა — პირველი ადგილი
მაიაკოვსკის რაიონი — მეორე ადგილი
ზესტაფონის რაიონი — მესამე ადგილი

**მეექვსე ზონაში:**
გეგეჭკორის რაიონი — პირველი ადგილი
ჩხოროწყუს რაიონი — მეორე ადგილი
მახარაძის რაიონი — მესამე ადგილი

**მეშვიდე ზონაში:**
გალის რაიონი — პირველი ადგილი
ქ. გაგრის ზონა — მეორე ადგილი
ქობულეთის რაიონი — მესამე ადგილი

გამარჯვებულთ წაახალისებენ. (საქინფორმი).

# დაპირებას შესრულება უნდა!

ყურადღება! წერილს უკან ადამიანია! — ეს ფრაზა უკვე აფორიზმად იქცა. და ეს არ არის მხოლოდ ხატოვანი გამოთქმა: დიახ, ყველა შემოსული წერილის მიღმა ცოცხალი ადამიანი, მშრომელი ადამიანი დგას თავისი ფიქრით, ოცნებითა და საზრუნავით. მის მიერ შემოთავაზებული ყოველი აზრი, წინადადება გულმოდგინე ყურადღებას მოითხოვს, ნებისმიერი განცხადება თუ საჩივარი — სწრაფ, საქმიან რეაგირებას.

მოქალაქე მიღებაზე მოვიდა წარმოებაში, ალმასკომში, რედაქციაში. მისგან, ამ შეხვედრისგან ჩვენ ბევრ საინტერესოს უნდა მოველოდეთ: ჭკვიანურ აზრს, დიდი საერთო საქმის საკეთილდღეოდ რომ უნდა განხორციელდეს, კონსტრუქციულ წინადადებას რაიმე მნიშვნელოვანი ხარვეზის გამოსწორებისათვის, კრიტიკულ შენიშვნას, ზოგჯერ, იქნებ, საკუთარი მისამართითაც.

და რა ხასიათისაც უნდა იყოს მშრომელი კაცის წერილი, რა საზრუნავიც უნდა აწუხებდეს მიღებაზე მოსულ მოქალაქეს, კაბინეტში მსხდომმა ადამიანებმა ყურადღებით, გულითადად უნდა მოუსმინონ, ჩაუკვირდნენ საქმის ვითარებას და დროულად მიმართონ ქმედით ღონისძიებებს.

მშრომელთა წერილები, მშრომელების მიღება ხალხის უფართოეს მასებთან კავშირის უმნიშვნელოვანესი ფორმები გახლავთ. ეს არის ინფორმაციის უმდიდრესი წყარო, სახელმწიფოს საქმეებში ხალხის ჩაბმის უებრო საშუალება.

ამიტომ ადამიანებს, ხელმძღვანელებს, ვისაც ეს მნიშვნელოვანი უბანი — მშრომელებთან ურთიერთობა და მათი მიღება ავალიათ, ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალთახედვა, პროფესიული ცოდნა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თბილი, ადამიანური გული უნდა ჰქონდეთ.

„წესად უნდა იქცეს: არც ერთი საკითხი, რომელიც მშრომელებს აწუხებთ, უპასუხოდ არ უნდა დარჩეს", — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ."

ყურადღება სჭირდება დიდი საზოგადოებრივი ჟღერადობის წერილსაც და ვიწრო, ლოკალური ხასიათის საჩივარსაც, რადგან არ არსებობს წვრილმანი და მსხვილმანი, როცა საქმე მშრომელი კაცის საზრუნავს შეეხება.

დღეს, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი შეურიგებლად ებრძვის ნეგატიურ მოვლენებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და როცა ამ ბრძოლის წყალობით მნიშვნელოვნად შემცირდა მშრომელებისადმი უსულგულო, ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტები, განსაკუთრებით აქტუალური ხდება სახელმწიფო აპარატში უსულგულობის, თვალის ახვევის, უპასუხისმგებლობის ბოლომდე აღმოფხვრა და ამოძირკვა.

პარტია უყოყმანოდ გმობს ყოველ ისეთ გამოვლინებას, როცა თანამდებობის პირები უგულებელყოფენ ადამიანის კანონიერ უფლებას, ივიწყებენ მის ინტერესებს, არ ზრუნავენ მშრომელთა საარსებო საჭიროებისათვის.

ეს მით უფრო შეუწყნარებელია ახლა, როცა ასე სწრაფად მაღლდება საერთოდ ჩვენი ხალხის კულტურა, როცა ასე მოგვიმრავლდნენ ჭკვიანი, ტაქტიანი ხელმძღვანელები, რომლებიც ჩინებულად ფლობენ ადამიანებთან ფაქიზი ურთიერთობის ხელოვნებას.

„ზოგი ამხანაგი პირად საქმეზე მოქალაქეთა მიღებას წვრილმან საქმედ მიიჩნევს, — სთქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ბაუმანის ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე, — აქაოდა, ჩვენ უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გვაქვსო. რა თქმა უნდა, სახალხო საბჭოების მუშაკებს საზრუნავი ბევრი აქვთ. მაგრამ ადამიანებისათვის საჭირბოროტო საკითხების, თუნდაც პირადი საჭიროების საკითხების მოგვარება წვრილმანი საქმე როდია! ეს საბჭოთა დაწესებულების მუშაობის დონის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი გახლავთ".

როგორ მოვაწყოთ უკეთესად მშრომელთა მიღება, რა გზები გამოვნახოთ მოქალაქეთა სამართლიანი მოთხოვნების ქმედითი და ოპერატიული დაკმაყოფილებისათვის?

ამაზე ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ბევრს ფიქრობენ. ეს საკითხი იდგა პარტიის გულრიფშისა და ყვარლის რაიკომების პლენუმების, სახალხო დეპუტატთა ფოთის საქალაქო საბჭოს, ოჩამჩირის რაისაბჭოს აღმასკომების სესიის დღის წესრიგში. მშრომელებთან შეხვედრის ახალი ფორმა — კითხვა-პასუხის საღამო — გამოძებნა პარტიის ქუთაისის ქალაქკომმა, საინტერესო ღონისძიება ჩაატარა იუსტიციის სამინისტრომ, რომლის მუშაკებმა საგარეჯოს რაიონის მშრომელებს ადგილზე მოუწყვეს მიღება.

გროვდება და განზოგადდება კარგი გამოცდილება, ინიციატივები, სააშკარაოზე გამოაქვთ ადამიანთა კანონიერი მოთხოვნების უგულებელყოფის შეუწყნარებელი ფაქტები.

სამწუხაროდ, ჩვენი რედაქციის საზოგადოებრივ მისაღებში, მკითხველთა წერილებშიც გვხვდება, თუმცა უკვე შედარებით ნაკლებად, მშრომელთა სიგნალები იმის შესახებ, რომ მათთვის აუცილებელი, საჭირბოროტო საკითხი ვერ მოგვარდა. და, რაც განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, ფაქტები იმისა, რომ ადამიანებს რაღაცას დაპირდნენ, გადაწყვეტილება მიიღეს, თარიღიც დათქვეს, როდის მოამთავრებდნენ საქმეს, და მერე დანაპირები დაივიწყეს.

შეუსრულებელი დაპირება, ქაღალდზე დარჩენილი გადაწყვეტილება! რა შეიძლება იყოს ამაზე უარესი? ან რამ უნდა მიაყენოს მეტი ზიანი პასუხისმგებელი პირის ავტორიტეტს? კვლავ როგორღა დაიბრუნებს ის ადამიანთა ნდობას?

სამი წლის წინათ შეპირდნენ ქ. სამტრედიის ორბელიანის ქუჩის მცხოვრებლებს სასმელი წყლით უზრუნველყოფას და ქუჩაში წყლის სადენი არხების გაწმენდა-გასუფთავებას სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომი და რესპუბლიკის საბინაო კომუნალური მეურნეობის სამინისტრო; ვადაც დაუთქვეს — 1977 წლის მეორე კვარტალი. მაგრამ რა! ამ დღეებში მოქალაქეებმა კვლავ მოგვმართეს საჩივრით: წყლის მილები კარგა ხანია ჩააწყვეს, ასფალტი აყარეს, ქუჩა გაუვალი გახდა, წყალს კი მაინც ვერ ველირსეთო. საქმის გაკეთებაც ამას ჰქვია!

ასევე არ შეუსრულეს დაპირება ქ. წულუკიძის კუიბიშევის ქუჩის პირველ შესახვევში მცხოვრებ უზომოდ შეწუხებულ მოქალაქეებს საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის დირექციამ, თუმცა ერთი წლის წინ არწმუნებდნენ — „ანტისანიტარიის სალიკვიდაციო სამუშაოები დაწყებულია და უახლოეს პერიოდში დამთავრდებაო".

ოც წელიწადზე მეტია ცხაკაიას რაიონის კოტიანეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშები რადიოგადაცემებს ვერ უსმენენ. მიზეზი? — რადიოხაზი არ არის. „რადიოდუმილი" — ამ სათაურით დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში კრიტიკული წერილი, რომელიც მკითხველთა სიგნალის მიხედვით მომზადდა. მეურნეობის დირექციამ გვაცნობა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის ტრესტი მზად არის საჭირო სახსრები გაიღოს, ხოლო ზუგდიდის კავშირგაბმულობის მეშვიდე საექსპლოატაციო ტექნიკური კვანძი ტექნიკურ დოკუმენტაციას შეადგენს და სამუშაოს შეგვისრულებსო. მას აქეთ ორ წელზე მეტი გავიდა. რა გაკეთდა დაპირების შესასრულებლად? — კაპიკის სალირალი არაფერი.

სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულ მექანიზატორს ჯილდოდ მაჯის საათი აღუთქვეს და ორი წელი აღარ გაუგზავნეს; მუყაით მეზვრეს ყინვით დაზარალებული ვენახების აღსადგენად თავდადებული გარჯისათვის ავტომანქანის რიგგარეშე მიყიდვას დაჰპირდნენ და სიტყვა გატეხეს; სამამულო ომის ინვალიდს დასახვეწებელი სახლის საგზური აღარ მისცეს....

განა საქმეა ეს?

და ჩვენ გვინდა ვკითხოთ ასეთ ხელმძღვანელებს: ვისი სახელით იძლევით დაპირებას, ამხანაგებო?!

ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელი ხალხის წარმომადგენელია და ის მოვალეა იდგეს მისი ინტერესების სადარაჯოზე. გარდა ამისა, ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელი წარმომადგენელია თავისი ორგანიზაციის, თავისი უწყებისა და, როცა მასთან მიღებაზე მისულ მოქალაქეს რაიმეს ჰპირდება, გადაწყვეტილებას იღებს, ეს ნიშნავს, რომ მავანი და მავანი კაცი კი არ აძლევს სიტყვას, ესა და ეს პიროვნება კი არ ჰპირდება, არამედ სასოფლო საბჭოს აღმასკომში მისულ მშრომელს — საბჭოთა ხელისუფლება ჰპირდება, პარტიულ კომიტეტში მისულს — პარტიის სახელით აძლევენ სიტყვას და ამიტომ სიტყვის გატეხა, დაპირების შეუსრულებლობა არასგზით არ შეიძლება.

დიახ, ყველა დაპირება, ყველა გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს, თორემ თვად გადაწყვეტილებას, რა გინდ კარგიც უნდა იყოს, სამწუხაროდ, ჯადოსნური ძალა არ გააჩნია. ასე რომ, ის ქაღალდზევე დარჩება, თუ შემდგომ კონკრეტული ღონისძიებაც არ მოჰყვა.

რედაქციამ მახარაძის რაიონის ერთ-ერთი სოფლიდან წვევამდელის წერილი მიიღო. ბიჭი გვწერდა, ჯარში მივდივარ, მაგრამ გული საგულეს არ მაქვს, მამაჩემი ლოთობს, რომ დათვრება, სანადირო თოფით ემუქრება დედას, ბებიას და ჩემს პატარა დებს. ვაითუ, უბედურება დატრიალდესო. მაშინვე დავუკავშირდით მახარაძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს კაპიტან ი. სიორიძეს და ვთხოვეთ, იარაღი ჩამოერთმია დებოშირი „ოჯახის უფროსისათვის". ყველაფერი რიგზე იქნებაო, დაგვპირდა და ერთი კვირის თავზე უკვე მაგიდაზე გვედო მისი პასუხი, სამხედრო პატაკივით მოკლე და ლაკონიური. მილიციის უფროსს არა მარტო ჩვენი თხოვნა შეუსრულებია (და ერთის მაგივრად ორი თოფი აღმოუჩენია და ჩამოურთმევია), არამედ ის ავადმყოფი კაცი სამკურნალოდ ბათუმში წაუყვანია და ჯარში გაწვეული ბიჭისთვის წერილიც მიუწერია — გულმშვიდად მოიხადე შენი ვალი ქვეყნის წინაშე, შენს ოჯახში ყველაფერი რიგზეაო.

თითქოს უმნიშვნელო, რიგითი ფაქტია. ალბათ ასეც არის. გასაკვირი მაინც არ უნდა იყოს. მაგრამ ახლა იმ ახალგაზრდას კითხეთ, განა ოდესმე დაავიწყდება ის წერილი ან ის კაცი, სულიერი სიმშვიდე რომ დაუბრუნა? განა მილიციის სამხრეები მისთვის ამიერიდან კაცთმოყვარეობის, გულითადობის რეგალიებად არ იქცა?

ხელმძღვანელის ავტორიტეტი! ეს თვისება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზეც, თუ როგორ ასრულებს იგი თავის სიტყვას, მიცემულ დაპირებას.

ყველა გადაწყვეტილება უნდა განვამტკიცოთ მკაფიო ორგანიზაციული ღონისძიებებით, დროზე უნდა შევამოწმოთ მათი შესრულება, — აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმზე.

ადამიანი მიღებაზე მოვიდა და ჩვენ ვალდებული ვართ ყველაფერი გავაკეთოთ მისთვის, ყველაფერი, რაც ხელგვეწიფება. გულთბილობა, მზრუნველობა, პირიანობა — ეს ხომ ჩვენი, კომუნისტების, ყველაზე ჰუმანური იდეალების მატარებელი ადამიანების წმიდათაწმიდა თვისებაა! ეს ის თვისებაა, შრომით კოლექტივებში, დაწესებულებებში და, საერთოდ, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ადამიანთა შორის ნდობის, მხარდაჭერის, ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს რომ ჰქმნის და ახალ-ახალ წარმატებებს ბადებს კომუნისტური მშენებლობის ხარაჩოებზე.

## ხუთწლედი, შეჯიბრება!

# პირველ ადგილზე

ხუთწლედის მეოთხე გადამწყვეტი წლის მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და პირველ ადგილთან ერთად გზათა სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა დედაქალაქის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა.

საკავშირო მასშტაბით ეს დიდი მიღწევა, განაცხადა „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ზაურ ზადიკაშვილმა, ორმაგად სასიხარულოა, რადგან იგი მოახლოებულ ჩვენს ტრადიციულ დღესასწაულს — რკინიგზელთა საკავშირო დღეს დაემთხვა. ამ წარმატებით აღფრთოვანებულმა ელექტროვაგონშემკეთებლებმა ივლისის დამლევს კიდევ უფრო უმაღლეს შრომითს ტემპსა და განვლილი შვიდი თვის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადაზე ადრე შეასრულეს. საანგარიშო პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 210, ხოლო რეალიზებულია 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ელექტროსამანქანო, მექანიკური და სამგზავრო ვაგონების შემკეთებელი საამქროების კოლექტივებს, რომლებსაც ვ. მექანარიშვილი, ბ. ჩხეიძე და ბ. წილოსანი ხელმძღვანელობენ. თავი გამოიჩინეს აგრეთვე კადრის მუშებმა ზეინკლებმა ს. ვაშაკიძემ, თ. დურდიაძემ, მ. გაჩეჩილაძემ, ხარატებმა გ. ალიაშვილმა, ა. ტაბატაძემ, დურგალმა უ. კიკნაძემ და მეგრაგნილემ გ. გოგლიძემ.

თ. კინწურაშვილი.



ხობის რაიონის ხეთის დაფნისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში მუშაობენ თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. რაზმში (ხელმძღვანელი — ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მარინე ძნელაძე) 120 ჭაბუკი და ქალიშვილია. ისინი ბეჯითად შრომობენ. ერთ-ერთი მათგანია ამ ფოტოზე აღბეჭდილი — ინგლისური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი მანანა ასლანიშვილი.

ა. საკაოვის ფოტო.

## სტუდენტური ზაფხული

# სადღა არ შრომობენ

გაჩაღდა შრომითი ზაფხული-79. საქართველოს სტუდენტურ სამშენებლო რაზმებს დღეს შეხვდებით არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. რსფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონა და ენგურის ჰიდროელექტროსადგური, კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე, კამის საავტომობილო ქარხანა და თბილისის მეტროპოლიტენი, — აი არასრული ნუსხა იმ ობიექტებისა, სადაც დისლოცირებულია რესპუბლიკის თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მეტი წილი სამშენებლო რაზმები. საუკეთესო სტუდენტები საქართველოს წამყვანმა უმაღლესმა სასწავლებლებმა მიავლინეს მშენებელთა ინტერნაციონალურ ბრიგადებში, რომელთა მარშრუტები ბულგარეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში გადის.

20 ივლისი ყველა სტუდენტურ სამშენებლო რაზმში იყო დამკვრელური შრომის დღე, რომელმაც დაავგირგვინა იმპერიალისტური ჩაგვრისა და აგრესიის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების ახალგაზრდებთან და ბავშვებთან სოლიდარობის კვირეული. საქართველოს სტუდენტური სამშენებლო რაზმების შტაბში მოსული ცნობების მიხედვით ჩვენმა ბიჭებმა ამ დღეს თავიანთი საუკეთესო მებრძოლური თვისებები გამოავლინეს, ხალისიანად, მხნედ იშრომეს. მეტწილ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზე დავალებას ერთნახევარჯერ-ორჯერ გადააჭარბეს. შრომითი დღის ბოლოს ყველგან მოეწყო მიტინგები, თაობათა შეხვედრები, ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები. ამ დღეს გამომუშავებული მთელი სახსრები სოლიდარობის ფონდში გადაირიცხა.

განსაკუთრებით სასიხარულოა ცნობები, რომლებიც საზღვარგარეთიდან მოგვდის ინტერნაციონალურ შრომით ბანაკებში მომუშავე ქართველ სტუდენტთა ბრიგადებისაგან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ გერაში მუშაობენ, მტკიცედ გადაუწყვეტიათ შეინარჩუნონ შარშან მოპოვებული ტიურინგიის ოლქის თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის გარდამავალი დროშა; ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოს ინტერბანაკში გამოვლილი შეჯიბრების ლიდერთა შორის არიან საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან წარგზავნილნიც. ბულგარეთის დედაქალაქსა და ბლაგოევგრადის მშენებლობებზე დამკვრელურად შრომობენ მომავალ თბილისელ პედაგოგთა რაზმები და ქუთაისელი პოლიტექნიკოსები. უნგრეთის მიწაზე კეთილ კვალს ტოვებენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ კესტჰეის რაიონში.

სტუდენტთა შრომითი ზაფხული გრძელდება. გრძელდება დამკვრელური შრომის დღეებიც, როცა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ჩვენი სტუდენტობის საზოგადოებრივი სიმწიფე. მორიგ ამგვარ დღეს საქართველოს სტუდენტური სამშენებლო რაზმის მებრძოლები 3 აგვისტოს გამართავენ. ამ დღეს გამომუშავებული თანხა მთლიანად გადაირიცხება ქალაქ გაგარინის მშენებლობისა და კეთილმოწყობის ფონდში. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ნაკრებმა რაზმმა, რომელიც ახლა კოსმოსის პირველმკვლევის სამშობლოში შრომობს, რესპუბლიკურ შტაბში უკვე გამოგზავნა ამ დღისათვის დაგეგმილი ძირითადი ღონისძიებების გეგმა.

ბევრი საინტერესო შეხვედრა ელით სტუდენტური რაზმების მებრძოლებს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების დაწყების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კომკავშირული კრების — „ყამირო, გმირობისაკენ გვიხმობ!" — მსვლელობაში. კრება 6-დან 12 აგვისტომდე გაიმართება ყველა რაზმში. ამ კრებაზე სტუდენტებს ესტუმრებიან პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, პირველყამირელი გმირები, მეათე ხუთწლედის გვარდიელები. 16 აგვისტოსათვის დანიშნულია კიდევ ერთი დამკვრელური შრომის დღე, რომლის შემოსავალიც გმირი ვიეტნამელი ხალხის დახმარების ფონდში გადაირიცხება.

**საიმედო** შევსება მიიღო ენგურჰესის მშენებელთა 12-ათასიანმა ინტერნაციონალურმა რაზმმა. აქ საზაფხულო საწარმოო პრაქტიკაზე ჩამოვიდნენ მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტები. მოწინავე გამოცდილების ნამდვილ სკოლად იქცა კავკასიონის მთებში მშენებარე ენერგეტიკული გიგანტის სამშენებლო-სამონტაჟო მოედნები, სადაც ახლა ოცდაათზე მეტი ეროვნების ადამიანები შრომობენ.

უცხოელი სტუდენტები მუშაობენ მაღლივი თაღოვანი კაშხალის მშენებლობაზე. უწევენ რა პრაქტიკულ დახმარებას ჰიდრომშენებლებს, ისინი სწავლობენ ზემძლავრ ჰიდროტექნიკურ კვანძებზე სამშენებლო სამუშაოების თანამედროვე მეთოდებს, რომელთაგან ბევრს პირველად იყენებენ ჰიდრომშენებლობის მსოფლიო პრაქტიკაში.

როგორც წინა წლებში, ენგურის ელექტროსადგურების კასკადის მშენებლობაზე წლევანდელ ზაფხულშიც მოელიან დიდ სტუდენტურ დესანტს. მალე აქ ჩამოვა მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ასობით სტუდენტი.

წარმატებით შრომობენ მშენებლობაზე ბელორუსიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები. მომავალი ინჟინრები გაყოფილი არიან ორ ჯგუფად: ჭაბუკები საყრდენ-სასადგურო კვანძის ობიექტებზე მუშაობენ, ხოლო ქალიშვილები ღია გამანაწილებელი დანადგარის უბანზე.

პრაქტიკის ხელმძღვანელმა, ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა გ. კრუგლოვმა თქვა, რომ: სტუდენტების მიზანია — დახმარება აღმოუჩინონ ჰიდრომშენებლებს, გაეცნონ უნიკალური ელექტროსადგურის დამპროექტებლებისა და მშენებლების ინჟინრულტექნიკურ ჩანაფიქრს, რაც ხელს შეუწყობს მათ ამოირჩიონ თავიანთი სადიპლომო ნამუშევრების თემები.

# ქართველი ავიატორების წარმატება

**საქართველოს** სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მიენიჭა პირველი ადგილი და სამოქალაქო ავიაციის სამინისტროსა და ავიაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს ავიატორებმა დარგში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს. სატარიფო მგზავრბრუნვის მიხედვით მეორე კვარტალის გეგმა შესრულდა 107,2 პროცენტით, ხოლო საუბნო მგზავრბრუნვისა — 107 პროცენტით. გადაყვანილია 559.337 მგზავრი და გადატანილია 2200 ტონა ფოსტა და ტვირთი. „ლ-410" ტიპის კომფორტულმა ტურბოხრახნიანმა თვითმფრინავებმა დაიწყეს ფრენა სამგზავრო რეისებით თბილისიდან ლაგოდეხში, ახმეტაში, ამბროლაურსა და ზუგდიდში. (საქინფორმი).

# სურნელოვან პლანტაციებში

## ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხნების დათვალიერება

**11 და 12** აგვისტოს მოეწყობა საქართველოს აგრარულ-სამრეწველო გაერთიანების ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა — ქარხნების დათვალიერება. მისი მიზანია შემოწმდეს, თუ როგორ მოემზადნენ ქარხნები ეთერზეთოვანი ნედლეულის გადასამუშავებლად. დათვალიერების დროს უნდა გაირკვეს, წესრიგშია თუ არა ყველა დანადგარ-მოწყობილობა, სასაწყობო მეურნეობა, ფარდულები და მოედნები, დაკომპლექტებულია თუ არა ყველა საამქრო და ლაბორატორია კვალიფიციური კადრებით, უზრუნველყოფილი არიან თუ არა საწარმოები საჭირო დოკუმენტაციით.

საბჭოთა მეურნეობა — ქარხნების დათვალიერების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება მიწების, მინერალური სასუქების და სარწყავი წყლის უფრო რაციონალური გამოყენებისათვის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლებისათვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკეთ მოვლისათვის და ა. შ.

უნდა განისაზღვროს აგრეთვე, თუ რა კეთდება პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, როგორ მიმდინარეობს უხეში და წვნიანი საკვების დამზადება, გამოზამთრებისათვის პირუტყვის სადგომების მომზადება.

შემოწმება - დათვალიერებაში მონაწილეობისათვის ადგილებზე გაემგზავრებიან კვების მრეწველობის სამინისტროსა და „საქეთერზეთმრეწვის" სპეციალისტები და ხელმძღვანელი მუშაკები. დათვალიერებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის წარმომადგენლები.

დათვალიერების შედეგებს განიხილავენ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე.

ი. ეცადაშვილი,
საქართველოს აგროსამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთის" უფროსი.

## მეცხოველეობას — ჩვენი გულისყური!

# მეტყევეთა ფერმა

## სასარგებლოა, მივბაძოთ!

**თეთრად** შეფეთქილი ფერმის ტიპობრივი შენობა მთავარი გზიდან ოციოდე ნაბიჯზეა. იქ 250 ღორი ჰყავთ. საღორე სანიმუშოდ არის დასუფთავებული, პირუტყვი კარგად გაუსუქებიათ. მთელ ფერმას ცოლ-ქმარი ივანე და ზინა პასუხოვები პატრონობენ.

— რაც მთავარია, საკვები მოაქვთ, გვიყვარს ეს საქმე, ადვილად ვუძღვებით, — ღიმილით გვითხრა სამოც წელს მიღწეულმა ივანემ.

არ იფიქროთ, ეს დიდებული ფერმა რომელიმე კოლმეურნეობას, ან საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნოდეს, ქედის სატყეო მეურნეობისაა. პარტიის მოწოდებას, რომ განვავითაროთ საკარმიდამო მეცხოველეობა, ქედელი მეტყევეები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ და პირველსავე წელს სახელმწიფოს ტონობით ხორცი მიჰყიდეს. მაგრამ გულახდილად რომ ითქვას, ინდივიდუალურად მოვლას დიდი ენერგია დასჭირდა. მაშინ სატყეო მეურნეობის დირექტორმა სერგო ქღენტმა წინადადება წამოაყენა მეღორეობის ფერმა აეშენებინათ. ასეთი კოლექტიური ღონისძიებით საქმეს უფრო მოევლებოდა. სიტყვას საქმე მოჰყვა. თაოსნობას თვითონ სერგი ჩაუდგა სათავეში. ქვის ბლოკები მოზიდეს, ხე-ტყე უხვად ჰქონდათ, მეურნეობაში დურგლები და კალატოზებიც აღმოჩნდნენ, და სამოცი მეტრი სიგრძის ფერმა მოკლე დროში გამართეს.

— სულ 5 ათასი მანეთი დაგვეხარჯაო, თქვა ს. ქღენტმა.

საუკეთესო ჯიშის ღორები ფეოდოსიიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოიყვანეს. პირველად 35 სული ჰყავდათ, ახლა 250-ს მიაღწია. პირველსავე წელიწადს ფერმა რენტაბელური გახდა, დაფარა ყოველგვარი ხარჯები და მოგებაც მისცათ. კომბინირებულ საკვებს ნორმის 60 პროცენტს ხარჯავენ, ქედის ტყეებში ისე უხვად არის წაბლი, მაჟალო და სხვა ველური ნაყოფი, რომ, როგორც იტყვიან, საკვები თავზე საყრელად აქვთ.

ეს ყველაფერი როდია. სატყეო მეურნეობაში გამართეს მწვანე ნარჩენების დასამუშავებელი საამქრო. ყოველწლიურად 250 ტონა კომბინირებულ ფხვნილს აბარებენ სახელმწიფოს.

ქედელთა მაგალითისამებრ მეღორეობის ფერმები შექმნეს ქობულეთისა და ხელვაჩაურის მეტყევეებმაც.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

პროფკავშირული ცხოვრება

# ვიდრე მაქსიმუმს მოვითხოვდეთ!..

**ადამიანზე** ზრუნვა მუდამ იყო და არის ჩვენი პარტიის მოღვაწეობის ყურადღების ცენტრში. ადამიანზე ზრუნვა მისი შრომისა თუ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრიც არის. სწორედ ამიტომ დაეთმო ამ საკითხს უდიდესი ყურადღება სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე. მაქსიმალურად უნდა შემცირდეს მძიმე ხელის შრომა, შეიქმნას ვითარება, რომელიც აბსოლუტურად გამორიცხავს პროფესიულ დაავადებებს, საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევებს. „ჩვენი მიზანი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: „უსაფრთხოების ტექნიკიდან — უსაფრთხო ტექნიკისაკენ. ჩვენ ამ გზას დავადექით და განუხრელად ვივლით ამ გზით" — თქვა ზემოაღნიშნულ ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ჩვენი რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, ორგანიზაციებმა და საწარმოებმა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავეს შრომის პირობებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ხუთწლიანი (1976-1980 წწ.) კომპლექსური გეგმები. ამ გეგმებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციას, ავტომატიზაციას, [illegible] და პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მინისტრთა საბჭოსთან შექმნეს რესპუბლიკური კომისია, რომელიც თავის სხდომებზე რეგულარულად ისმენს ცალკეული სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების ხელმძღვანელების ინფორმაციებს დარგში ხუთწლიანი კომპლექსური გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

1977-78 წლებში ამ კომისიის სხდომებზე განიხილეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ხე-ტყისა და ხის დასამუშავებელი მრეწველობის სამინისტროების, ელექტროქსელებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელთა ინფორმაციები. ამგვარად ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ სად და როგორ სრულდება ხუთწლიანი კომპლექსური გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ახლა ვნახოთ, კონკრეტული ციფრებით როგორ აისახა ამ მხრივ გაწეული მუშაობა: ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დროებითი მავნე საწარმოო ფაქტორების ზემოქმედებისაგან გამოთავისუფლდა 99,7 ათასი მუშაკი, გეგმით გათვალისწინებული 91,3 ათასის ნაცვლად. აშენდა და რეკონსტრუირებულია 134,5-ათასადგილიანი მოქმედი საგარდერობო შენობები, გეგმით გათვალისწინებული 111,3 [illegible] ხარლთა შრომის, დასვენებისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ქალთა შრომის პირობების შემდგომ გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ქალთა შრომის, დასვენებისა და საყოფაცხოვრებო პირობების საკავშირო საზოგადოებრივმა დათვალიერებამ. [illegible] კი 1978 წელს საწარმოო ტრავმატიზმის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. ასეთებია, მაგალითად, ქარხანა „აქატი", კასპის ქარხანა „ელექტროაპარატი", ახმეტის სატყეო კომბინატი, მშენებლობის სამინისტროს №№ 7-8-10 და 12 ტრესტები, 122 საბჭოთა მეურნეობა... [illegible]

## 440.000 ტონა ჩაისათვის

# რაოდენობაც, ხარისხიც!

### მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების ჩაის პლანტაციებში

**მახარაძის** რაიონის მეჩაიეებმა ჩინებული ტრადიცია დაამკვიდრეს — ყოველწლიურად ზრდიან მოსავალს, აუმჯობესებენ ნედლეულის ხარისხს. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება.

— მეჩაიეობა რაიონის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია, — თქვა პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. დვალიშვილმა, — რესპუბლიკაში წარმოებული ჩაის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენს რაიონზე მოდის. ამიტომაც მეჩაიეობას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. წელს მოკრეფილია 6.200 ტონით მეტი ფოთოლი, ვიდრე შარშან ამ დროისათვის. **მამაც მეჩაიეთა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ რაიონმა ვადაზე ადრე შეასრულა ჩაის ფოთლის დამზადების ხუთწლიანი გეგმა, 260.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 273.600 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მაგრამ მახარაძელი მშრომელები მიღწეულს არ სჯერდებიან და მთელი ენერგიით იბრძვიან ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.**

მახარაძელებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის დამზადების წლევანდელი გეგმაც. **56.030 ტონის ნაცვლად 64.624 ტონა ფოთოლი მოკრიფეს.** რაიონის გეგმის შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გივი წითლიძე) მეჩაიეებმა, რომლებმაც 4.344 ტონა ფოთოლი მოკრიფეს, რაც წლიური დავალების 109 პროცენტია.

წელს კარგი სტარტი აიღეს სოფლების მთისპირის, თხინვალის, მახარაძის კოლმეურნეობების (თავმჯდომარეები გ. შევარდნაძე, გ. გაგუა, რ. შავიშვილი) მეჩაიეებმა, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს წლიური გეგმები და გასულ წელთან შედარებით 7-8 პროცენტით გააუმჯობესეს ნედლეულის ხარისხი.

მეჩაიეთა შრომითს წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მექანიზატორებმა. ასობით ჩაის საკრეფი მანქანა მუშაობს. ლაითურის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში ჩაის საკრეფი მანქანით „საქართველო-77" რეკორდი დაამყარა ა. ქარკოვმა, რომელმაც ერთ დღეს 11.659 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. მოკრეფილი ნედლეულის 83,3 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. რაიონში მანქანებით ნაცვლად 10.804 ტონისა 10.906 ტონა ჩაის ფოთოლი მოიკრიფა.

კარგად შრომობენ ჩაის ფაბრიკების გაერთიანების (გენერალური დირექტორი გ. ბაბილოძე) მუშაკები, რომლებიც დამსახურებულად ფლობენ საკავშირო დროშას. ჩაის წარმოების მუშაკებმა განვლილ 6 თვეში 34.275 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, რაც დავალების 100,6 პროცენტს შეადგენს, სახელმწიფოს მისცეს 170 ათასი მანეთი მოგება. აქედან 18 ათასი მანეთი გეგმის გადამეტებით.

**ლანჩხუთელ** მეჩაიეებს საპატიო ადგილი უჭირავთ რესპუბლიკაში, ჩაის ჰექტარობრივი მოსავლიანობით. წელს სერიოზული ამოცანები დგას რაიონის მეჩაიეთა წინაშე — **უნდა მოკრიფონ 21.500 ტონა ფოთოლი, გეგმა კი 16.850 ტონას ითვალისწინებს. უკვე დამზადებულია 16.500 ტონა.**

რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა. სოფელ მამათის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე პ. შევარდნაძე) მეჩაიეებმა ვადაზე ადრე, 20 ივლისისათვის შეასრულეს წლიური გეგმა, გათვალისწინებული 1.842 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და წარმოებას ჩააბარეს 1.958 ტონაზე მეტი ფოთოლი. მათ ტონა ჩაის წარმოებაზე შრომის დანახარჯები 5 პროცენტით შეამცირეს. კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლები აქვთ იმ ბრიგადებს, რომლებსაც ვალერიან და ილია კილაძეები ხელმძღვანელობენ.

მეჩაიეები ჩაის ფაბრიკების მუშაკთა უკმაყოფილონი არიან. ფაბრიკების საწარმოო სიმძლავრეები ვერ აუდის მოკრეფილი ფოთლის გადამუშავებას, ასობით ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს მანქანებით სხვა რაიონის ჩაის ფაბრიკებში ეზიდებიან. ეს კი აუარესებს ჩაის ხარისხს, ცდება ტრანსპორტი, ფერხდება ფოთლის კრეფის ტემპი. წელს უნდა დამთავრებულიყო სოფელ ლესაში ჩაის ახალი ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც დღე-ღამეში 90 ტონა ფოთოლს გადაამუშავებდა, მაგრამ მშენებლობა ჯერ მიწას არ ასცილებია. „საქკვებპროექტის" ინსტიტუტის მუშაკები და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მშენებლები ვერ შეთანხმდნენ. კაცმა რომ თქვას, ჯერაც არა აქვთ რიგიანი პროექტი, სრული ტექნიკური დოკუმენტაცია. როდემდის გაგრძელდება ეს, კაცმა არ იცის! ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ დიდი ხნის წინათ მიზიდული ძვირადღირებული მანქანა-დანადგარები ცის ქვეშ ყრია და იჟანგება.

**ჩოხატაურელ** მეჩაიეებს შედარებით უფრო ძნელ პირობებში უხდებათ შრომა. ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი მთა-გორაკებზეა გაშენებული, მისი მოვლა-პატრონობა იოლი როდია. მიუხედავად ამისა, მკლავმოუდლელი მშრომელები ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. **ხუთწლედის დავალება 20 ივლისისათვის 100,4 პროცენტით გაანაღდეს, ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 268 ტონა ფოთოლი. ახლა ჩოხატაურელები ფოთოლს მე-11 ხუთწლედის ანგარიშში კრეფენ. ისინი სეზონში 12.000 ტონა ფოთოლს ჩააბარებენ.**

— ჩვენ კიდევ მეტი ფოთლის მოკრეფა შეგვიძლია, — გულისტკივილით თქვა ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავკაცმა ო. შარაშენიძემ, — მაგრამ №1 ჩაის ფაბრიკა გვაყოვნებს. 18 ივლისს 25 ტონა ფოთოლი მოვკრიფეთ, ორი დღე რიგში იდგა მანქანები ჩაის ფაბრიკის (დირექტორი შ. მამალაძე) ეზოში. დავინტერესდით და ფაბრიკაში მივედით. დანადგარები გაჩერებული იყო ერთი პატარა ღვედის უქონლობის გამო. შემდეგ, როგორც იქნა, მოიტანეს ღვედი, გადააბეს და დანადგარიც ამუშავდა. ეს რომ გამონაკლისი იყოს, არაფერს ვიტყოდით, მაგრამ სეზონის დაწყებიდან დღემდე სულ ასეა, სხვადასხვა „ობიექტური" თუ „სუბიექტური" მიზეზების გამო ფაბრიკა ხშირად ჩერდება.

„კომუნისტის" მკითხველებს გვინდა შევახსენოთ, რომ სეზონის დაწყების წინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, სადაც ნათქვამი იყო, ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკები ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავებისათვის მზად არ არიანო. როგორც ახლა ირკვევა, გაერთიანება „საქართველოს ჩაის" ეს ყურად არ უღია და არავითარი დახმარება არ გაუწევია ჩოხატაურის მეჩაიეებისათვის.

**ბ. ჩხაიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.



**ქუთაისის** დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის სახელობის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს.

ეს წარმატება გაერთიანების კომკავშირული ორგანიზაციის აქტიური მუშაობის შედეგია. ამ ცოტა ხნის წინათ კომკავშირის კომიტეტთან ახალგაზრდა დამრიგებელთა საბჭო შეიქმნა. მას სათავეში ჩაუდგა მოწინავე მქსოველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ციური დეკანოიძე.

მრავალი სასარგებლო საქმეა „კომკავშირული პროჟექტორის" ანგარიშში. მისი ხარისხის პოსტები ყველა საამქროში შეიქმნა.

**სურათებზე:** ზემოთ — მოწინავე მქსოველი მარინე ცხაშვილი, საწარმოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი დოდო უკლება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მქსოველი ციური დეკანოიძე გაერთიანების ხარისხის სახლში ქსოვილის ახალ ნიმუშებს ეცნობიან; ქვემოთ — ოსტატის თანაშემწე ნოდარ ბუბუტიშვილი და მქსოველი იზოლდა ჩაკვეტაძე.

ს. ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



## ხუთწლედის მიჯნა მიღწეულია

**დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს ოჩამჩირის რაიონის მეჩაიეებმა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მწვანე პლანტაციების მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან შეჯიბრებაში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, ვადამდე გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის მეათე ხუთწლედის გეგმა. ოთხი არასრული სეზონის მანძილზე ჩაის ფაბრიკებს ოჩამჩირელებმა 107.700 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩააბარეს. მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში ოჩამჩირელმა მეჩაიეებმა უკვე პირველი 30 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი ჩაიწერეს. მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის სეზონის დამლევამდე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეები კიდევ 10 ათას ტონაზე მეტ ხარისხოვან ნედლეულს ჩააბარებენ.**

### მთავრობის დადგენილებათა შესრულებას: მთის რაიონის პრობლემები

# გასაკეთებელი ბევრია

**ყველა** მთის მხარეს თავისი განუმეორებელი სიკეთე და სიმდიდრე აქვს. ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ უკანასკნელ ხანს უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი მიიღეს რესპუბლიკის მთის რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ.

ასეთი დადგენილება 1973 წლის 30 ოქტომბერს მიღებულია ორჯონიკიძის რაიონის შესახებაც. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, ამიტომ ურიგო არ იქნება, თვალი გადავავლოთ იმას, რაც გაკეთდა და რაც გასაკეთებელია, პირდაპირ ვუთხრათ იმ სამინისტროებსა და უწყებებს, ვისაც დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ევალებოდა, რა წვლილი შეიტანეს ამ სახელმწიფო საქმეში.

ადამიანი უპირველეს ყოვლისა! — ასეთია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციური მოთხოვნა. და რადგან ასეა, მაშ, მოდით უწინარესად სოციალური განვითარების პროგრამით დასახული კომპლექსის შესახებ ვილაპარაკოთ.

რაიონის მშრომელები კმაყოფილი არიან საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საავტომობილო ტრანსპორტის და საავტომობილო გზების სამინისტროებისა, ცეკავშირის გამგეობისა, რომლებმაც ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს მოსახლეობის საკეთილდღეოდ. კეთილმოეწყო რაიონული ცენტრი, სოფლები, ამაღლდა საბინაო კომუნალური მომსახურების დონე, მწყობრში ჩადგა შიდასარაიონო ახალი გზები, განსაკუთრებით რთულ რელიეფურ პირობებში გაიყვანეს ორჯონიკიძე-ჯროლ-სარგვეშის საავტომობილო გზა, შენდება საცხოვრებელი სახლები, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი წყალსადენი 500 ტონა ტევადობის ავზით, მოეწყო ბინების ცენტრალური გათბობა. რაიონის ბევრ სოფელში აიგო სავაჭრო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, ავტოსატრანსპორტო საწარმოს გამოეყო საჭირო რაოდენობის მსუბუქი ტაქსები და ავტობუსები.

უმადლიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსაც, მწყობრში ჩადგა ვარძიის, ნადაბურის საშუალო, სარგვეშის, უბისის რვაწლიანი სკოლები, კაპიტალურად შეკეთდა კიცხის საშუალო სკოლა და შენდება წიფის საშუალო სკოლა.

კავშირგაბმულობის სამინისტრომ რაიონის ცენტრში აამუშავა ათასნომრიანი, ხოლო სოფლებში ბორითში, ხუნევში, ხევში უფრო მცირე სიმძლავრის ავტომატური სატელეფონო სადგურები. ტელეხედვის გაუმჯობესების მიზნით დამონტაჟებულია 6 ტელერეტრანსლატორი.

ერთი სიტყვით, გაკეთებული ბევრია და ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი რესპუბლიკური უწყება მადლობას როდი იმსახურებს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ზოგი დაპირება შეასრულა, მაგრამ სოფლების ამბულატორიები ისევ უექიმოდ არიან, რაიონს რომ 23 ექიმი აკლია, ეს, ცხადია, საგანგაშო ამბავია.

საყვედურს იმსახურებს რესპუბლიკის ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველო. სოფელ ლეღვანში უხარისხოდ აშენებული 10 კილოვატი სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზი სისტემატურად ავარიულ მდგომარეობაშია, ხოლო დადგენილებით გათვალისწინებული სოფელ ზვარეს 20-კილოვატი სიმძლავრის ხაზის მშენებლობა საერთოდ მიივიწყეს.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 სამშენებლო ტრესტმა მოლითის მარმარილოს კარიერებზე არ დაასრულა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის სახელოსნოს და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა, რის გამოც „საწარმო დღემდე არ ამოქმედებულა.

მშრომელების წინაშე ვალშია რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო. დადგენილებით გადვალისწინებულია რაიონული კულტურის სახლის რეკონსტრუქცია. შედგა პროექტიც, ხარჯთაღრიცხვაც, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის.

სოციალური განვითარების საპრობლემო საკითხებს საარსებო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თუ თვით დადგენილების ფორმულირებას გადავხედავთ, მასში აქცენტი გადატანილია რაიონის ეკონომიკის განვითარებისათვის ქმედით დახმარებაზე. როგორია ამ თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები?

წინა ხუთწლეულთან შედარებით იგრძნობა წარმოების ზრდის დინამიკა. მოვიყვანოთ ზოგიერთი კონკრეტული ციფრი: 1978 წელს რძის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობამ 1972 წლის მაჩვენებელს გადააჭარბა 3.301 ცენტნერით, ხორცისამ — 1.960 ცენტნერით, ნახირის საერთო სულადობა გაიზარდა თითქმის 853-ით, წარმატებით სრულდება ვენახების სიმეჩხრის სალიკვიდაციო სამუშაოები, შენდება ახალი ვენახები კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ღონისძიებების შესაბამისად, მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა მარცვლეულისა და პირუტყვის საკვების წარმოების გასადიდებლად. ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ თანადათანობით სწორდება წინა ხუთწლეულში დაშვებული უხეში შეცდომა, რომ კოლმეურნეობებში გააუქმეს მეცხოველეობის ფერმები. მალე ათვისებული იქნება ყველა მიკროუბნის საკვები რესურსები და გაიზრდება ნახირის სულადობა.

მევენახეებმა უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე მხოლოდ შარშან შეძლეს ყურძნის წარმოებისა და მიყიდვის სახელმწიფო დავალების შესრულება.

უფრო ნათელი პერსპექტივებია დასახული რაიონის სოფლის მეურნეობის წინაშე. სამანქანო გზები გაიჭრა საზვლარის, საძროხის და ჩალხეეთის მთების მიმართულებით, მიმდინარეობს არჯოლარკინისჯვრის საავტომობილო გზის მშენებლობა. ამ ღონისძიებით შესაძლებელი გახდება მთის ბუნებრივი მდელოების ათვისება, რის შედეგადაც ყოველწლიურად 2.000-2.500 ტონა ყუათიანი, იაფფასიანი თივა დამზადდება.

ქმედით, შედეგიან დახმარებას უწევს რაიონს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ამაღლებაში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პირნათლად სრულდება დადგენილებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დავალებანი. რაიონის კოლმეურნეობებს გამოეყოთ ავტომანქანები, ტრაქტორები, გუთნები, მიღებულია 10 ცალი ჩეხური და უნგრული მცირეგაბარიტიანი უნივერსალური სათიბი მანქანა. ისინი დიდმწარმოებლური გამოდგა სამთო პირობებში მუშაობისათვის.

სასიკეთო ძვრებია რაიონის სამრეწველო ეკონომიკაშიც. ყოველწლიურად 25.000 კუბურ მეტრ დახერხილ საშენ ქვას იძლევა კოზმანის კარიერი, რომელმაც უზრუნველყო ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის წლიური პროდუქციის წარმოების 400 ათასი მანეთით გადიდება. ქიმიური მრეწველობის დამხმარე მექანიკური ქარხნის მშენებლობა დაიწყო სოფელ კიცხში. ეს საწარმო ამ ზონის სოფლების ახალგაზრდობისათვის კარგი საჩუქარი იქნება.

როგორც ვხედავთ, ბევრ კარგ საქმესთან ერთად გასაკეთებელიც საკმაოდ ბევრია. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა ერთხელ კიდევ გულდასმით უნდა ჩაიხედონ დადგენილებაში ორჯონიკიძის რაიონის შესახებ, ობიექტურად შეაფასონ თავიანთი პოზიცია, თორემ, შესაძლოა, ანგარიშის მოთხოვნის დროს უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

**ო. ნიქაბაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

### სექტემბერი შორს როდია: სასკოლო მშენებლობებზე

# სიტყვას საქმე უნდა მოსდევდეს

— **სკოლების** უმეტესი ნაწილის კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება ჩვენს სამშენებლო ორგანიზაციას აქვს დავალებული, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. კარგა ხანია მუშაობა გავაჩაღეთ. ბევრი რამ გავაკეთეთ. წინ კიდევ დიდი დროა, თითქმის ერთი თვეა დარჩენილი, ყველაფერს მოვასწრებთ, ვალში არ დავრჩებით.

ასეთი სიტყვებით დაგვამშვიდა ონის სარემონტო-სამშენებლო უბნის უფროსმა ჯ. შიმშილაშვილმა, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ ყველაფერი საკუთარი თვალით გვენახა. აი რა გამოირკვა:

ქალაქის მეორე საშუალო სკოლა ყველაზე დიდია რაიონში. აქ 700-მდე ბავშვი სწავლობს. მეორე წელია კაბინეტურ სწავლებაზე გადავიდნენ. ეს კარგია, ცუდი ის არის, რომ სკოლის შენობა ძველთაძველია. ხის კონსტრუქციების დიდი ნაწილი დამპალია. ოთხ ოთახში და გრძელ დერეფანში ნახევარი იატაკი შეცვლას მოითხოვს. ამ სკოლის რემონტისთვის 22 ათასი მანეთია გამოყოფილი, რაიონში მთელი ასათვისებელი თანხის თითქმის მესამედი. ამიტომ, ცხადია, მშენებელთა ძირითადი ძალები აქ უნდა იყოს თავმოყრილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდია. ჩვენი მისვლისას, მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი მზიანი დღე იყო, სკოლის ეზოში კაცი არ ჭაჭანებდა. მშენებლებს სამშენებლო მასალა ბლომად აქვთ — ფიცარი, ცემენტი, ქვიშა, მონდომება აკლიათ მხოლოდ.

— ჩვენი სკოლის რემონტისთვის 2500 მანეთია გამოყოფილი, — გვეუბნება სორის საშუალო სკოლის დირექტორი ზ. ურეკაძე — თანხა დიდი არ არის, მაგრამ მისი ათვისება გაძნელდა. ონის სარემონტო-სამშენებლო უბანმა ერთი კვირის წინათ 2 გადამხურავი გამოგვიგზავნა. მათ დღენახევარი იმუშავეს, სახურავი აქა-იქ შეაკეთეს და წავიდნენ. დღე-დღეზე ველოდებით მებათქაშეთა და მღებავთა ბრიგადებს, მაგრამ არ ჩანან.

შესალესი და შესათეთრებელია 6 საკლასო ოთახი. გამოცვლას საჭიროებს სამი ფანჯარა და ერთი კარი. მოსაწყობია სპორტული მოედანი, 350 კვადრატულ მეტრზე დასაგებია ასფალტი.

ბევრი ნაკლია სკოლის ბუფეტში. რაიკოოპერატივის გამგეობამ საშველი არ დააყენა ელექტროქურის დამონტაჟებას. ერთ წელზე მეტია აქ დახლ-მაცივარი მოიტანეს, მაგრამ რაიკოოპერატივის საზოგადოებრივი კვების ქსელის გაერთიანებამ (უფროსი — ა. დაუშვილი) ვერ შეძლო მისი ბუფეტში დადგმა და ამუშავება.

სკოლის ახლო მასწავლებელთა სახლი შენდება. მისი კედლები მზეს მიჰფიცხებია, ირგვლივ სამშენებლო მასალის გროვები დგას. ადგილზე ყველაფერია, გარდა მშენებლებისა. კაცი . არ არის, რომ ბლოკები დააწყოს და კედლების ამოყვანა დაასრულოს, შენობა გადახუროს. მასწავლებელთა სახლს ჩორდშენის სამმართველო აშენებს. მშენებლებს გამოცდილება აქვთ და პირი არ უნდა გატეხონ — 20 აგვისტოსათვის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ.

ონის რაიონში არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის. რატომღაც ამაზე არ წუხან სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, სოფლის აქტივი. ისინი ხომ პასუხისმგებელნი არიან იმისათვის, რომ პირველ სექტემბერს ჩვენს ბავშვებს სკოლები ყოველმხრივ მომზადებული დახვდნენ.

**რეიდის მონაწილენი — ბ. ქაფიანიძე, კომუნისტი, რ. ჯაფარიძე — ღარის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი, ი. ქაფიანიძე — მოსწავლის მშობელი, ვ. ცირეკიძე — „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.**

### დავიცვათ სოციალისტური საკუთრება

# დაუბრუნდეს სახელმწიფო ხაზინას

**სსრ კავშირის** ახალი კონსტიტუციით, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა იურიდიული გამოხატულებაა, აგრეთვე სხვა კანონებით, სოციალისტური საკუთრების დაცვასა და განმტკიცებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მე-10 მუხლში მითითებულია, რომ „სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო კოოპერაციული საკუთრების ფორმით... სახელმწიფო იცავს სოციალისტურ საკუთრებას და ქმნის მისი შემდგომი ზრდის პირობებს. არავის არ აქვს უფლება პირადი გამორჩენის და სხვა ანგარებითი მიზნით იყენებდნენ სოციალისტურ საკუთრებას", ხოლო 61-ე მუხლის მოთხოვნით „სსრ კავშირის მოქალაქე მოვალეა უფრთხილდებოდეს და განამტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას. სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობაა ებრძოდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებასა და მფლანგველობას; უფრთხილდებოდეს სახალხო დოვლათს. სოციალისტური საკუთრების ხელყოფი პირები ისჯებიან კანონის შესაბამისად".

ვ. ი. ლენინი სოციალისტური საკუთრების, სახალხო დოვლათის გამტაცებლებსა და მფლანგველებს ჩვენი სახელმწიფოს საშიშ მტრებად მიიჩნევდა, იგი სპეციალურ მითითებას აძლევდა პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებს გადაჭრით გაეძლიერებინათ ბრძოლა დამტაცებელთა წინააღმდეგ, სწრაფად გაერჩიათ აღძრული საქმეები, მკაცრად დაესაჯათ დამნაშავეები, ხოლო განაჩენი პრესაში გამოექვეყნებინათ, იგი მოითხოვდა, რომ „ყოველი ასმანეთიანი, რომელიც უმართებულოდ ჩავარდა ვინმეს ხელში, დაუბრუნდეს სახელმწიფო ხაზინას".

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი ჩადენილი, ყოველთვის ძალიან საშიშია საზოგადოებისათვის, მის საზოგადოებრივ საშიშროებას განსაზღვრავს როგორც თვით დატაცების შინაარსი, ისე მისი შეფარდებითი გავრცელებულობა.

სამწუხაროა, მაგრამ დასამალი არ არის ის ფაქტი, რომ სოციალისტური ქონების დატაცებას დღეისათვის სხვა დანაშაულებათა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დატაცების დონე მკვეთრად არ შემცირებულა, მეტი წილი ჯგუფურ დატაცებაზე მოდის. მითვისებით, გაფლანგვითა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ჩადენილ დატაცებისას გასამართლებულთა შორის ადრე ნასამართლევ პირთა რაოდენობა საკმაო ნაწილს შეადგენს.

მთელ რიგ შემთხვევაში დატაცებებს ხელს უწყობს დოკუმენტების გაყალბება, დაუდევრობა, ქონების დანაშაულებრივ-დაუდევარი შენახვა, უყაირათობა, აღრიცხვის წესების სხვადასხვაგვარი დარღვევა და ა. შ.

ასეთი სახის დარღვევები იძლევიან იმის შესაძლებლობას, რომ დამნაშავეებმა, ჯერ ერთი, შექმნან დატაცებისათვის გარკვეული ოდენობის მარაგი, მეორეც დაფარონ უკვე ჩადენილი დატაცება. ქონების დაუსაბუთებლად ჩამოწერის გზით.

რაც შეეხება წვრილმან დატაცებას, უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი დატაცებისათვის გასამართლებულ პირთა ხვედრითი წონა იზრდება. ამჟამად, დატაცების სტრუქტურაში წვრილმან დატაცებას მეორე ადგილი უკავია.

წვრილმანი დატაცების ყველაზე მეტი შემთხვევები რეგისტრირებულია სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, რომლებიც ფართო მოხმარების საქონელს ამზადებენ.

დატაცებისათვის დამახასიათებელ საერთო ნიშნად გვევლინება სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის, კერძოდ, შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის მიუღებლობა. ამ პრინციპის მიუღებლობის ხარისხი დატაცების ჩამდენ პირებს სხვადასხვა აქვს.

სოციალისტური ქონების დამტაცებლის ტიპიური თვისებებია: მეშჩანობა (წვრილმესაკუთრეული ინტერესები); იმის რწმენა, რომ ფული ყოვლისშემძლეა; საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სამომხმარებლო დამოკიდებულება; მისწრაფება იმისა, რომ საზოგადოებისაგან მეტი მატერიალური სიკეთე მიიღონ; საზოგადოებრივი ინტერესებისადმი გულგრილობა; სულიერი შეზღუდულობა; პარაზიტიზმი (სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრება), მუქთახორობა და სხვ.

დამტაცებელთა ეს ტიპიური თვისებები მეტ-ნაკლები ძალით თითოეული დამტაცებლის პიროვნებაში ვლინდება. სახელდობრ იგი უფრო მეტად გამოხატულია ბოროტ დამტაცებლებში, ხოლო შედარებით ნაკლებად იმ დამნაშავეებში, რომლებმაც დატაცება პირველად ჩაიდინეს არახელსაყრელი სიტუაციის გავლენით.

სოციალისტური ქონების დატაცების საერთო მიზეზებად გვევლინება წარსულის გადმონაშთები, რომლებიც, სამწუხაროდ, დღემდე შენარჩუნებულია ადამიანის შეგნებასა და ქცევაში.

წარსულის გადმონაშთების არსებობას განაპირობებს მთელი რიგი ნაკლოვანებანი, მათ შორის ნაკლოვანებანი პოლიტაღმზრდელობით მუშაობაში, სწორედ ამ უკანასკნელთან არის დაკავშირებული ცალკეული ადამიანების მიერ თანასწორობის პრინციპის არასწორი გაგება. ისინი ამჩნევენ რა რეალურ სინამდვილეში არსებულ იმ განსხვავებას, რაც არსებობს ცალკეულ ადამიანებს შორის მატერიალური უზრუნველყოფის ხაზით, ცდილობენ საზოგადოებისაგან დაუმსახურებლად მიიღონ მეტი მატერიალური სიკეთე.

მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც ასევე აფერხებს კერძომესაკუთრეული გადმონაშთების აღმოფხვრის პროცესს, გვევლინება უყაირათობა, რაც მატერიალურ ფასეულობათა დაუდევარ შენახვასა და ხარჯვაში ვლინდება. უარყოფითობის გამხრწნელი გავლენა მით უფრო ძლიერდება, როცა იგი ერწყმის ზო-

„კომუნისტის“ ინტერვიუ

# ინტერნაციონალური კავკასია

## ენათმეცნიერ კავკასიოლოგთა მერვე შეკრება

**ყარაჩაი-ჩერქეზეთის** ავტონომიური ოლქის ცენტრში — ქ. ჩერქესკში გაიმართა ენათმეცნიერ კავკასიოლოგთა მორიგი მერვე შეკრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისიდან, მოსკოვიდან, ბაქოდან, სოხუმიდან, ნალჩიკიდან, მახაჩყალიდან, გროზნოდან, ორჯონიკიძიდან და სხვა ქალაქებიდან ჩასული იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტები. სესიის თემა იყო „ზმნისწინთა და თანდებულთა სისტემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“.

როგორც ცნობილია 1965 წლიდან ენათმეცნიერი კავკასიოლოგები ორ წელიწადში ერთხელ კავკასიის ერთ რომელიმე ქალაქში რეგიონალურ სამეცნიერო სესიაზე იკრიბებიან და ამ ენათა სისტემისა და ისტორიის აქტუალურ საკითხებს განიხილავენ. სესიებს მართავს მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც შედიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრის ენათმეცნიერი კავკასიოლოგები. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ა. ჩიქობავა.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი **ლ. ხუბულური** შეხვდა სესიის მონაწილეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს **შოთა ძიძიგურს** და მას რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

**— უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ მოკლედ გაგვაცნოთ, როგორია იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია და რა როლი ენიჭება ამ საქმეში საქართველოს ენათმეცნიერ კავკასიოლოგთა სკოლას?**

— იბერიულ-კავკასიურ (ქართველურ. აფხაზურ-ადიღეურ, ნახურ და დაღესტნურ) ენათა მეცნიერულ შესწავლას XIX საუკუნეში ჩაუყარეს საფუძველი გამოჩენილმა მეცნიერებმა მ. ბროსემ, ა. შიფნერმა და პ. უსლარმა, შემდგომ ეს საქმე სახელოვნად განაგრძეს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორებმა დ. ჩუბინაშვილმა, ალ. ცაგარელმა. ნ. მარმა, ი. ყიფშიძემ, გერმანელმა მეცნიერმა ა. დირმა, ავსტრიელმა ჰ. შუხარდტმა და სხვებმა.

პირველი ქართველი მკვლევარი, რომელმაც მთის იბერიულ-კავკასიური ენების, კერძოდ, აფხაზურის შესწავლას მოჰკიდა ხელი, პ. ჭარაია იყო.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ამ ენათა შესწავლა ფართოდ გაიშალა. დიდმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა ჩვენს მეცნიერებს, საქართველოს ისტორიისა და ქართველურ ენათა კვლევასთან ერთად ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მეზობელი ხალხების ისტორიისა და ენების მეცნიერული კვლევაც დაუსახა. სწორედ ამ ამოცანის განსახორციელებლად შეუდგნენ მთის ენების შესწავლას პროფესორი აკ. შანიძე, (ბაცბური ენა), პროფესორი არნ. ჩიქობავა (ხუნძური ენა), პროფესორი ს. ჯანაშია (აფხაზური ენა), პროფესორი ვ. თოფურია (ლაკური ენა).

განსაკუთრებით ინტენსიური და გეგმაზომიერი ხდება ჩვენში მთის იბერიულ კავკასიურ ენათა შესწავლა მას შემდეგ, რაც არნ. ჩიქობავას ინიციატივით 1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა კათედრა და 1936 წელს ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში მთის კავკასიურ ენათა განყოფილება (1941 წლიდან — ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება).

ამ ენათა მეცნიერულ კვლევასთან ერთად კათედრა და განყოფილება მეცნიერულ კადრებს უზრდიდნენ და უზრდიან არა მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებს, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა იმ სამეცნიერო ცენტრსაც სადაც კი ამ ენათა კვლევა ხდება. თბილისი იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის აღიარებულ ცენტრად იქცა. ჩამოყალიბდა ახალი დისციპლინა — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ენათმეცნიერ კავკასიოლოგთა თბილისურმა სკოლამ, რომელსაც პროფესორი არნ. ჩიქობავა უდგას სათავეში, მსოფლიო სახელი მოიხვეჭა.

**— ენათმეცნიერ კავკასიოლოგთა სხვა სკოლების შესახებ რას გვეტყვით?**

— ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა გარდა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სამეცნიერო დაწესებულებებმა საკმაოდ ინტენსიურად იკვლევენ ამ ენებს მოსკოვსა და ლენინგრადშიც.

**— რას გვეტყვით წლევანდელი სესიის მუშაობის შესახებ და საერთოდ მეცნიერული კვლევის გარდა რა როლს ანიჭებთ ენათმეცნიერ კავკასიოლოგთა ასეთ ფართო შეკრებებს?**

— წლევანდელ სესიაზე 58 მოხსენება წაიკითხეს, პლენარული სხდომის შემდეგ მუშაობა ორ სექციაში მიმდინარეობდა. პირველი იყო ქართველურ და აფხაზურ-ადიღეურ ენათა სექცია, მეორე — ნახურ და დაღესტნურ ენათა სექცია.

სესიაზე ქართველმა მეცნიერებმა მეტად საყურადღებო მოხსენებები წაიკითხეს. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ყველა ერთხმად აღნიშნავდა ქართველი მეცნიერების როლს ამ ენათა შესწავლის საქმეში.

სესიაზე თავის შემაჯამებელ სიტყვაში აკადემიკოსმა არნ. ჩიქობავამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მეცნიერთა ჯანსაღ, კეთილგანწყობილ ურთიერთობას, რაც ხელს უწყობს მეცნიერული კვლევის წარმატებას. აღინიშნა აგრეთვე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალეროვან და მრავალენოვან კავკასიაში ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის სწორ შეხამებას; მშობლიური ენის სიყვარული სხვა ენის პატივისცემას კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს, რადგან ის სხვა ენაც ხომ სხვისთვის მშობლიურია.

მეცხრე რეგიონალური სამეცნიერო სესია 1981 წელს გაიმართება ქ. მახაჩყალაში.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ბორჯომის მეტეოროლოგიური სადგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

**ჰავისა** და გარემოს მდგომარეობის შესწავლის საქმეში დიდი წვლილისა და სხვადასხვა სახალხო-სამეურნეო ორგანიზაციის ეფექტიანი, ოპერატიული ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფისათვის, დაარსების მე-100 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის და გარემოს კონტროლის სამმართველოს **ბორჯომის მეტეოროლოგიური სადგური** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 30 ივლისი.

## ერთობლივი ცნობა

**ჟენევა,** 1 აგვისტო. (საკდესი). გუშინ განიარაღების კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ლ. ისრაელიანმა წაიკითხა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა ერთობლივი ცნობა ქიმიური იარაღის აკრძალვის თაობაზე ორმხრივი მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ.

ვენაში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა ამასწინანდელი შეხვედრის დროს, ხაზგასმულია ცნობაში, ორივე მხარემ დაადასტურა, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ქიმიური იარაღის საყოველთაო, სრული და კონტროლსდაქვემდებარებული აკრძალვა და დათქვეს გააქტიურონ მეცადინეობა, რათა მოამზადონ შეთანხმებული ერთობლივი წინადადება განიარაღების კომიტეტში შესატანად. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციები ამ დებულებით ხელმძღვანელობენ ორმხრივი მოლაპარაკების მორიგი რაუნდის დროს, რომელიც 16 ივლისს დაიწყო.

ერთობლივ ცნობაში აღნიშნულია, რომ ქიმიური იარაღის აკრძალვასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებში, სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაღწიეს თანხმობას, ხოლო სხვა საკითხებზე — მოლაპარაკება გრძელდება. მხარეები აცხადებენ, რომ „ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა რაც შეიძლება მალე დაამთავრონ ორმხრივი მოლაპარაკება და განიარაღების კომიტეტს წარუდგინონ ერთობლივი ინიციატივა, ესოდენ დიდმნიშვნელოვან და უაღრესად რთულ პრობლემაზე“.

ამავე სხდომაზე დიდი ბრიტანეთის დელეგატმა განიარაღების კომიტეტს წარუდგინა ერთობლივი ცნობა, თუ როგორ მიმდინარეობს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მოლაპარაკება, რომელიც ეხება ხელშეკრულებას ყველა გარემოში ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ და მის ოქმს მშვიდობიანი მიზნით ბირთვული აფეთქებების თაობაზე. სამმა მხარემ, რომლებიც მოლაპარაკებაში მონაწილეობენ, აღნიშნულია ცნობაში, უკვე მიაღწია თანხმობის მნიშვნელოვან საფეხურს. სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციები აღუთქვამენ განიარაღების კომიტეტს, რომ ისინი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა მოლაპარაკება სწრაფად და წარმატებით დაასრულონ.

საერთაშორისო ცხოვრება

# დღევანდელის ფურცლებზე

## დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი

**მსოფლიო** საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის მეოთხე წლისთავს.

**სოფია.** ცხოვრებამ დაადასტურა თუ რაოდენ დროული და სწორი იყო ამ თათბირის მოწვევის შესახებ საბჭოთა კავშირის ინიციატივა, რომელსაც აქტიურად დაუჭირეს მხარი ბულგარეთმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა, განაცხადა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ გ. გროზევმა. განვლილი 4 წლის მანძილზე თავისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ერთგულმა საბჭოთა კავშირმა წამოაყენა მრავალი წინადადება, რომელთა მიზანია ევროპის უშიშროების განმტკიცება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და განიარაღება.

**ბერლინი.** საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებისა და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის მტკიცე ბრძოლის შედეგად ოთხი წლის წინათ ისტორიაში პირველად ჩაეყარა საფუძველი ევროპის მშვიდობის კონტინენტად გადაქცევასა და ახალი მსოფლიო ომის საფრთხის აღმოფხვრას, ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვ. რიუმპელმა. ის, რომ თუ არსებობს კეთილი ნება, შეიძლება სადავო საკითხების წარმატებით გადაწყვეტა, დაადასტურა საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრამ ვენაში და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულების დადებამ. ჩვენ მივესალმებით ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც შეესაბამება კაცობრიობის მისწრაფებას იცხოვროს მშვიდობიანად და უშიშრად.

**ბუდაპეშტი.** ცვლილებებმა საერთაშორისო ცხოვრებაში ნათლად ცხადყო, რომ საერთაშორისო ვითარების შექმნაზე სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ სოციალიზმის, მშვიდობისა და პროგრესის ძალები, განაცხადა სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს მდივანმა დ. შიუტემ.

**ლონდონი.** თავისი მშვიდობისმოყვარული კურსისადმი ერთგულება საბჭოთა კავშირს ჰელსინკის თათბირის შემდეგაც არაერთხელ დაუმტკიცებია იმით, რომ სულ ახალ-ახალ კონსტრუქციულ ინიციატივებს იჩენს განიარაღების გაღრმავებისა და ხალხთა თანამშრომლობის გაფართოების დარგში, თქვა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა რ. ვულფმა.

**ბრიუსელი.** შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული წინადადება — სრულიად ევროპის თათბირის ყველა მონაწილე ქვეყანამ დადოს ხელშეკრულება — ერთმანეთის წინააღმდეგ პირველებმა არ გამოიყენონ როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივი შეიარაღება, ხაზგასმით აღნიშნა ბელგიის სოციალისტური პარტიის საერთაშორისო საკითხთა მდივანმა ო. დებიუნმა. ბელგიის მთელმა პროგრესულმა ძალებმა მაღალი შეფასება მისცეს ამ ინიციატივას. მიგვაჩნია, რომ ლ. ი. ბრეჟნევის წინადადება სერიოზულ ყურადღებასა და ღრმა შესწავლას იმსახურებს. სრულიად აშკარაა, რომ ასეთი ხელშეკრულების დადება ხელს შეუწყობდა ევროპის სახელმწიფოებს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას შორის ნდობის ზრდას, კონტინენტზე უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცებას.

**პარიზი.** ამჟამად განიარაღებისათვის ბრძოლა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი და დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, განაცხადა „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ო. რუსმა. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები დღეს უდიდეს როლს ასრულებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებაში. საფრანგეთის საზოგადოებრიობა მიესალმება საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მის გულწრფელ მისწრაფებას მშვიდობისადმი.

## მშვიდობისმოყვარე ქალების კონფერენცია

**ტოკიო,** 1 აგვისტო. (საკდესის კორ.). „აიკრძალოს ბირთვული ბომბები!“, „აღარ განმეორდეს ხიროსიმისა და ნაგასაკის საშინელება!“ — ასეთი ლოზუნგებით გაიხსნა აქ ბირთვული იარაღის აკრძალვის მომხრეთა საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, კუბის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ერაყის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების დელეგაციები, აგრეთვე 15 საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ფორუმის ათასამდე დელეგატი განიხილავს ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისათვის, ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლის საჭირბოროტო ამოცანებს.

გუშინ გამოსულმა კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გამალებული შეიარაღება, რომელსაც კიდევ უფრო აძლიერებენ იმპერიალისტური ძალები, ახალ სახეობათა მომაკვდინებელი იარაღის შექმნა სერიოზულ საფრთხეს უქმნის კაცობრიობის ბედს, აბრკოლებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესს. „ყველა კეთილი ნების ადამიანმა, განურჩევლად მათი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განსხვავებისა, უნდა გააერთიანონ თავიანთი ძალები, რათა სამუდამოდ აიკრძალოს ბირთვული იარაღი“, — ხაზი გაუსვა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა ტაკესი სიმურამ.

„ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობას სერიოზულად აწუხებს ის საშიში შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს იაპონიის ჩათრევას ამერიკის შეერთებული შტატების გლობალურ ბირთვულ სტრატეგიაში. ჩვენ გადაჭრით ვგმობთ ვაშინგტონისა და ტოკიოს სამხედრო კავშირის შემდგომ განმტკიცებას, რასაც შედეგად მოჰყვება იაპონიის რემილიტარიზაცია და საფრთხეს შეუქმნის აზიის მშვიდობას“, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სრულიად იაპონიის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ხაძიმე ტანუმამ.

### ენერგეტიკული კრიზისი



**დასავლეთში** სულ უფრო მძაფრდება ენერგეტიკული კრიზისი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში შემოღებულია თხევადი საწვავის მოხმარებაზე მკვეთრი შეზღუდვები. ავტომობილთა გრძელი რიგები საათობით დგანან ბენზინის სადგურებთან.

ენერგიით მომარაგების გართულებას ხელს უწყობს დასავლეთის სანავთობე მონოპოლიების სპეკულანტური მაქინაციები, რომლებიც ნავთობის ტრანსპორტირებასა და გასაღებას დაეპატრონენ და გამუდმებით აძვირებენ ნავთობს.

**სურათზე:** ბენზინის სადგურებთან ასეთი გრძელი რიგები ენერგეტიკული კრიზისის დამახასიათებელ მაჩვენებლად იქცა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## კონსულტაციები დამთავრდა

**რომი,** 31 ივლისი. (საკდესის კორ.). ქრისტიანმა დემოკრატმა ფ. მ. პანდოლფიმ გუშინ კონსულტაციების დასკვნითი რაუნდი მოაწყო ქრისტიანულ-დემოკრატიული, სოციალურ-დემოკრატიული, რესპუბლიკური და ლიბერალური პარტიების ლიდერებთან, რომელთა წარმომადგენლების მონაწილეობა სურს მომავალ კაბინეტში.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, გამორიცხული არ არის, რომ უკვე დღეს საღამოს კაბინეტის მეთაურის პოსტის კანდიდატი პრეზიდენტს წარუდგენს ახალი მთავრობის სიას. ამ შემთხვევაში პარლამენტში ნდობის ვოტუმის გამო კენჭისყრა შეიძლება გაიმართოს მომავალი კვირის დამდეგს.

მაგრამ, როგორც პრესა აღნიშნავს, ფ. მ. პანდოლფისათვის დაბრკოლებად რჩება სოციალისტური პარტიის პოზიცია, რომლის ურთიერთობა ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიასთან გამწვავდა მას შემდეგ, რაც ამ პარტიის ლიდერებმა უარი თქვეს მხარი დაეჭირათ იტალიის სოციალისტური პარტიის პოლიტიკური მდივნის ბ. კრაქსის კანდიდატურისათვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

თანამიმდევრული და მკაფიო პოზიცია უკავია იტალიის კომუნისტურ პარტიას. იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ე. ბერლინგუერმა ფ. მ. პანდოლფისთან კონსულტაციის დროს აღნიშნა, რომ კომუნისტები ოპოზიციაში იქნებიან მომავალი მთავრობის მიმართ, რომელშიც არ შეუყვანიათ იტალიის კომპარტიის წარმომადგენლები.

## მხარს უჭერენ ახალ მთავრობას

**ლისაბონი,** 1 აგვისტო. (საკდესი). აქ გაიმართა პორტუგალიის ახალი პრემიერ-მინისტრის მარიამ დი ლურდიშ პინტასილჰუს პრესკონფერენცია. ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას, მან ოფიციალურად გამოაცხადა მის მიერ ჩამოყალიბებული ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც დღეს ფიცს დადებს და შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას.

საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ჟ. ფრეიტაშ კრუში, თავდაცვის მინისტრი — ლოურეირუ დუშ სანტუში, სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის მინისტრი — ჟოაკიმ ლოურენსუ.

კაბინეტის ამოცანაა, აღნიშნა, კერძოდ, მ. დი ლურდიშ პინტასილჰუმ, — მოამზადოს საყოველთაო არჩევნები მთავრობის მწვავე და გაჭიანურებული კრიზისის დასაძლევად, რომელსაც პორტუგალია განიცდის. ახალი მთავრობა პარლამენტს განსახილველად წარუდგენს თავის პროგრამას, რომელშიც განსაზღვრული იქნება კაბინეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი. ლურდიშ პინტასილჰუმ საგანგებოდ აღნიშნა, რომ პრეზიდენტს, რომელმაც იგი პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშნა, არ შეუზღუდავს მომავალი კაბინეტის საქმიანობის სფერო. ეს ხრის კონსტიტუციური მთავრობა, და იგი ვერ დასჯერდება მხოლოდ მიმდინარე სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტას, თქვა მან.

პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა, რომელიც გაეცნო ახალი მთავრობის შემადგენლობას, ხაზგასმით აღნიშნა, რომ კრიზისის დაძლევის არჩეული გზა კონსტიტუციურია და განაცხადა, რომ პორტუგალიელი დემოკრატები დაინტერესებული არიან ამ გზის განხორციელებით რეაქციული ძალების სურვილის საწინააღმდეგოდ.

## ბრალს სდებენ სადათს

**ალჟირი,** 1 აგვისტო. (საკდესი). ცნობილმა ეგვიპტელმა მხედართუფროსმა გენერალ აშ-შაზლიმ, რომელსაც ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პოსტი ეკავა 1973 წლის ოქტომბერში ისრაელთან ომის დროს, ეგვიპტის გენერალურ პროკურორს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვს სამართალში მისცენ პრეზიდენტი ა. სადათი. წერილში, იტყობინება ალჟირის საინფორმაციო სააგენტო, აღნიშნულია, რომ ამ ომში ეგვიპტის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი გახდა სადათის მიერ ქვეყნის უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის აზრის უგულებელყოფა. ამან ისრაელებს შესაძლებლობა მისცათ გაერღვიათ ეგვიპტის პოზიციები დევერსუარის რაიონში და ალყა შემოერტყათ ეგვიპტის მე-3 არმიისათვის.

გენერალმა აშ-შაზლიმ პრეზიდენტ სადათს ბრალად დასდო აგრეთვე ის, რომ მან 1977 წელს გამოქვეყნებულ თავის მემუარებში გააყალბა ისტორიული ფაქტები, შეიტანა მთელი რიგი უზუსტობანი და გამოგონილი ფაქტები. აშ-შაზლიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტის პრეზიდენტი ბოროტად იყენებს პირად ძალაუფლებას და საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისათვის სარგებლობს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

## შეთქმულება ჩაიშალა

**ბაღდადი.** (საკდესი). ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი გამოვიდა რესპუბლიკური გვარდიის ერთ-ერთი ნაწილის ჯარისკაცთა და ოფიცერთა წინაშე. იგი, კერძოდ, შეეხო ქვეყანაში მომხდარ ამასწინანდელ ამბებს, რომელთა დროს გამოავლინეს შეთქმულთა ჯგუფი. იმპერიალიზმმა, განაცხადა ს. ჰუსეინმა, თავისი დამქაში კონტრრევოლუციური ელემენტები იმისათვის გამოიყენა, რომ ლახვარი ჩაეცა სამშობლოსა და მისი შვილების თავისუფლებისათვის. ხალხის მასების მიღწევების წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების მონაწილეებმა, თქვა მან, უღალატეს რევოლუციისა და პარტიის საქმეს. რა შეთქმულებებსაც უნდა აწყობდნენ კონტრრევოლუციური ძალები, მათ გავანადგურებთ, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა.

მოკლედ

## ყოველი მხრიდან

*1 აგვისტო*

**ჰანოი.** როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ არ წყდება პეკინის სამხედრო აქციები ვიეტნამის საზღვარზე. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ამის თაობაზე გაგზავნილ ნოტაში მოყვანილია ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩინეთის ჯარების შეიარაღებული ქვეგანაყოფები არღვევენ საზღვრებს, ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლს უშენენ ვიეტნამის ტერიტორიას, რის შედეგად არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. დამწვარი და დანგრეულია ბევრი სახლი, სამეურნეო ნაგებობა, დაზიანდა ნათესები.

ვიეტნამის შეიარაღებულმა ძალებმა აიძულეს დამრღვევნი დაეტოვებინათ ტერიტორია, აღნიშნულია ნოტაში.

**ლონდონი.** კონსერვატორთა მთავრობა კვლავ ახორციელებს მკაცრი ფინანსური „ეკონომიის“ პოლიტიკას. გარემოს საკითხთა მინისტრმა მ. ჰიზლტაინმა გამოაცხადა, რომ ადგილობრივი მართვა-გამგეობის ორგანოების ბიუჯეტი 1980 წელს შეიკვეცება 608 მილიონი გირვანქა სტერლინგით. მიმდინარე წელს მთავრობამ უკვე გასცა განკარგულება ეს ბიუჯეტი შეამცირონ 500 მილიონი გირვანქა სტერლინგით. ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამგვარი ღონისძიებანი შეკვეცავენ უმნიშვნელოვანეს სოციალურ პროგრამებს, განათლების სისტემას, აგრეთვე ხელს შეუწყობენ უმუშევრობის ზრდას ქვეყანაში.

**ლაგოსი.** ნიგერიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარება ინგლისის ნავთობის კომპანიის „ბრიტიშ პეტროლეუმის“ ყველა აქცია. როგორც ცნობილია, ეს კომპანია შედის ქვეყანაში მოქმედი ინგლის-ჰოლანდიის „შელ-ბრიტიშ-პეტროლეუმის“ კონსორციუმში. კომპანიის ყველა მოსამსახურეს წინადადება მიეცა ერთი თვის განმავლობაში დატოვოს ნიგერია.

ჟურნალ „კრუგოზორის“ ფურცლებზე

## ყველაფერი საქართველოს შესახებ

**სსრ კავშირის** რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მუსიკალური ხმოვანი ჟურნალის „კრუგოზორის“ ივლისის ნომერი თითქმის მთლიანად მიეძღვნა საქართველოს.

ჟურნალი იხსნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ჩერქეზიას სტატიით „მარად ჰყვაოდე, საქართველოვ!“ რომელიც დაიბეჭდა მხატვარ ა. საფონოვის მიერ შესრულებული რესპუბლიკის გეოგრაფიული რუკის ფონზე.

ენგურჰესის სრულიად საკავშირო კომკავშირულ-ახალგაზრდული მშენებლობის სადაგ დღეებს, მისი მშრომელების გმირობას გვაცნობს ჟურნალის გვერდი, რომელსაც თან ახლავს მშენებლობის სამმართველოს უფროსის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნ. ცისკარიშვილის, ახალგაზრდა მშენებლების ინტერვიუს ჩანაწერები.

პ. ანტოკოლსკის მიერ თარგმნილი ი. ნონეშვილის ლექსით „ჩამობრძანდით საქართველოში“ იხსნება ჟურნალის ლიტერატურული გვერდი. აქვე წარმოდგენილია თვალსაჩინო საბჭოთა პოეტების — ნ. ტიხონოვის, პ. ანტოკოლსკის, მ. ბაჟანის, ი. კუპალას, რ. გამზატოვის, ვ. სოკოლოვის საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსები.

ჟურნალის ერთი გვერდი მკითხველს მეგზურობას უწევს ახალი ათონის მღვიმეებში, მოთხრობილია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა კამერულ ორკესტრზე, ჭადრაკის დედოფლებზე. მ. ჩიბურდანიძესა და ნ. გაფრინდაშვილზე, საქართველოს ნიჭიერ მოჭადრაკეებზე ნ. ალექსანდრიაზე, ნ. იოსელიანზე, ნ. გურიელზე. მოუსმენთ ნანი ბრეგვაძეს.

წიგნის თარო

## მსოფლიოს გზებზე

ექლვენება საბჭოთა კინოხელოვნების მე-60 წლისთავს

# შეხვედრები ქართულ კინემატოგრაფთან



საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე, სადაც მოწყობილია საბჭოთა კინოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა, 31 ივლისი ქართული კინოს დღე იყო.

ტრადიციულ ქართულ ფაცხაში, რომელიც გამოფენის მთავარი პავილიონის გვერდით არის მოთავსებული და სადაც უჩვენებენ ქართულ ფილმებს, მოეწყო პრესკონფერენცია. აქ მოვიდნენ საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის, ჟურნალგაზეთების კორესპონდენტები.

ჟურნალისტების სახელით საქართველოს დელეგაციას მიესალმა გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტი ი. ანდრონოვი. პრესკონფერენცია გახსნა საიუბილეო კინოგამოფენის მთავარმა რედაქტორმა ვ. სინელნიკოვმა. მან დამსწრეთ წარუდგინა ჩვენი რესპუბლიკის კინოდელეგაციის წევრები: საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ქუთათელაძე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ე. შენგელაია, რეჟისორები და მსახიობები ნ. სანიშვილი, თ. აბულაძე, ი. კვირიკაძე, ლ. ღოღობერიძე, ბ. წულაძე, ს. ჭიაურელი, ლ. ელიავა, დ. აბაშიძე, გ. კიკაბიძე, გ. ჩხაიძე და მულტიპლიკატორი ი. დოიაშვილი.

თავის გამოსვლაში რეჟისორმა ე. შენგელაიამ დამსწრეთ მოუთხრო ქართული კინოს განვითარების ეტაპებზე, იმ წარმატებებზე, ბოლო წლებში საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე რომ მოიპოვა კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნამუშევრებმა.

ქართველმა კინემატოგრაფისტებმა პასუხი გასცეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

მოგვიანებით კი საიუბილეო ექსპოზიციის კონფერენცდარბაზში გაიმართა მრავალრიცხოვან მოსკოველ და უცხოელ სტუმართა შეხვედრა ქართული კინოს ოსტატებთან. გამოვიდნენ ე. შენგელაია, ლ. ღოღობერიძე, ს. ჭიაურელი. აქვე უჩვენეს რეჟისორ ლ. ღოღობერიძის ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე". შეხვედრაში მონაწილეობდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ივერია".

ჩვენი დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს საქართველოს სსრ კინოპავილიონი.

ქართული კინოს დღეები მოსკოვში სამ დღეს გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი კინოს ოსტატები შეხვდებიან მოსკოველ მშრომელებს. აი, რა გვითხრა ამის შესახებ პარტიის მოსკოვის ბაბუშკინის რაიკომის მდივანმა გ. კალინინამ:

**კეთილი ტრადიციის თანახმად ჩვენი და ძერჟინსკის რაიონი ყოველთვის სიამოვნებით მასპინძლობს საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს. ამჯერად ქართული კინოხელოვნების მუშაკები შეხვდებიან მოსკოვის ცნობილი ბეწვეულის კომბინატის მუშებს, გაეცნობიან მათ შრომით მიღწევებს, დაათვალიერებენ მომავალი ოლიმპიადის სპორტულ ნაგებობებს.**

ჩვენ სასურველ სტუმრებს შეხვედრები მოელით აგრეთვე მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლებთან. დასკვნითი შეხვედრა სადამო სწორედ მეტროპოლიტენის კულტურის სახახლეში გაიმართება. აქ ქართველ კინომუშაკებს უმასპინძლებენ ბაბუშკინისა და ძერჟინსკის რაიონების მშრომელები.

მოსკოვის საუკეთესო კინოთეატრებში ამ დღეებში ეკრანებზეა ქართული ფილმები: „ნატვრის ხე", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „პირველი მერცხალი", „სამანიშვილის დედინაცვალი", „ქალაქი ანარა" და უხუცესი ქართველი კინორეჟისორის ნ. სანიშვილის საიუბილეო დოკუმენტური სამსერიიანი ფილმი „კინო და წლები".

კინოთეატრ „თბილისში" მოეწყობა საუკეთესო ქართული ფილმების რეტროსპექტული ჩვენება.



ცნობილმა საბჭოთა კინორეჟისორმა ს. როსტოცკიმ მოსკოვურ შეხვედრათა გამო გვითხრა:

**ქართულ კინოს ყოველთვის ახლავს დიდი ადამიანური სითბო და სიკეთე. და დღეს თქვენი კინოხელოვნების მშვენიერ ზეიმზე მახსენდება საბჭოთა კინოს დიდოსტატი ნ. შენგელაია. სიამოვნებით მივესალმები ჩვენს კოლეგებს, რომელთა ნამუშევრებმა შორს გაუთქვეს სახელი ქართულ საბჭოთა კინოს.**

**დ. მაჭავარიანი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ქ. მოსკოვი. 1 აგვისტო.

სურათებზე: საქართველოს კინოპავილიონში.
ვ. აბრამოვის ფოტო

# ზეიმობს მეგობრობის პოეზია

## მხატვრული სიტყვის ოსტატთა შეხვედრები ბოგდანოვკის რაიონში

ორ დღეს ხალხთა მეგობრობის პოეზიას მასპინძლობდა ბოგდანოვკის რაიონი. აქ ჩამოვიდნენ მხატვრული სიტყვის ოსტატები, თბილისელი და ერევნელი მსახიობები, ახლომახლო რაიონების მშრომელები.

ზეიმი მიეძღვნა იოსებ ნონეშვილსა და სილვა კაპუტიკიანს — დღევანდელი ქართული და სომხური პოეზიის შესანიშნავ წარმომადგენლებს, რომელთა შემოქმედებითი მეგობრობა საუკეთესო გაგრძელებაა უძველესი ტრადიციებისა, ორი მეზობელი ერის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს რომ აკავშირებს. ი. ნონეშვილსა და ს. კაპუტიკიანს ამ ცოტა ხნის წინათ 60 წელი შეუსრულდათ და პათი პოეზიისადმი მადლიერების გამოხატვა ბოგდანოვკელ მშრომელებსაც სურდათ.

რაიონულ კულტურის სახლში საზეიმო საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის მეორე მდივანმა პ. ვლასოვმა.

ი. ნონეშვილისა და ს. კაპუტიკიანის შემოქმედებაზე დამსწრეთ ესაუბრა რაიონული გაზეთის „არშალუის" („განთიადი") რედაქტორი მ. სედრაქიანი.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ბოგდანოვკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ფალიაშვილმა, სოფელ ფოკას სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ შ. ზაროლლიანმა და სხვებმა.

სომხეთისა და საქართველოს ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით გაიმართა კონცერტი, შემდეგ კი ი. ნონეშვილმა და ს. კაპუტიკიანმა წაიკითხეს ახალი ლექსები.

მეორე დღეს პოეზიის ზეიმმა გადაინაცვლა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ განძაში, სადაც დაიბადა სომხური ლიტერატურის კლასიკოსი ვაჰან ტერიანი. სტუმრებმა დაათვალიერეს ვ. ტერიანის სახლ-მუზეუმი. ხოლო შემდეგ, პოეზიის, ინტერნაციონალური მეგობრობის ზეიმი გახსნა საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქოჩოიანმა.

ყოველმა ორატორმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა ცხოველმყოფელი ძალა აქვს ლენინურ ინტერნაციონალურ პოლიტიკას, რომლის მეშვეობითაც საბჭოთა ხალხების და კერძოდ ქართველთა და სომეხთა მეგობრობა ახალ მწვერვალებს აღწევს. აქაც გამოვიდნენ ი. ნონეშვილი და ს. კაპუტიკიანი, აქაც ჟღერდა ლექსები ქართულად, სომხურად, რუსულად...

ეს იყო მეგობრობის პოეზიის დაუვიწყარი ზეიმი, რომელიც ტრადიციული გახდება.

**ვ. მაღლაკელიძე.**



# მოახლოებული ფინიში

**სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა**

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე გვატყობინებს.

**მოსკოვი.** (1 აგვისტო. ტელეფონით). სპორტული ჟურნალისტები, რომლებიც ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დღისადმი მიძღვნილ შეკრებას დაესწრნენ, აღფრთოვანებით გვიზიარებდნენ, თავიანთ შთაბეჭდილებებს.

— ჩვენ აქამდე ვეცნობოდით და ვქომაგობდით თქვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს, ყოველთვის ვადევნებდით თვალს თქვენს აღიარებულ სპორტსმენთა წარმატებებს და არაერთხელ გვიამბნია უკრაინელი მკითხველებისათვის მათ შესახებ. ახლაც აქ, სპარტაკიადაზეც გვახარებს თქვენი სპორტსმენების წარმატება და, ცხადია, გულს გვტკენს წარუმატებლობაც, — გვითხრა უკრაინის „სპორტივნა გაზეტას" მიმომხილველმა ი. დიმოვმა.

ასე ფიქრობენ ჩვენი მეგობრები, ასე ვფიქრობთ ჩვენც. ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ბრძოლები სპორტულ სარბიელებზე, ვნახოთ ვინ გაგვახარა და ვინ გაგვაწბილა. სულ უფრო ახლოვდება სპარტაკიადის ფინიში, მშვილდოსნებმა კი ეს-ესაა დაიწყეს შეჯიბრება. ამ სახეობაში საქართველოს სპორტული ღირსების დაცვა სხვა სპორტსმენებთან ერთად მინდობილი აქვს საქვეყნოდ აღიარებულ მშვილდოსან ქალს ქეთევან ლოსაბერიძეს. მშვილდოსანთა სასპარტაკიადო პროგრამა ისეთივეა, როგორც ოლიმპიური. ვაჟები ასპარეზობენ 90, 70, 50 და 30 მ-ზე, ქალები კი 70, 60, 50 და 30 მ-ზე სროლაში. თითოეულ დისტანციაზე სპორტსმენები ორჯერ ისვრიან 36-36 ისარს. აქ გათამაშდება საკავშირო ჩემპიონატი ცალკეულ დისტანციებზე, აგრეთვე სსრ კავშირისა და სპარტაკიადის ჩემპიონთა წოდებები ოთხივე ვარჯიშის ჯამით.

**შეჯიბრების პირველ დღეს ქალებმა იასპარეზეს 70-60 მეტრზე სროლაში. ქ. ლოსაბერიძემ 70 მ-ზე 306 ქულა დააგროვა და ამ დისტანციაზე საუკეთესოთა შორის ჭერჭერობით მეოთხეა (სპორტსმენებმა, წესისამებრ, თითოეულ დისტანციაზე 2-2-ჯერ უნდა სცადონ ძალები), ხოლო 60 მეტრზე სროლაში იგი პირველი იყო — 329 ქულა. შეჯიბრების სტარტზე ამ ორი დისტანციის ჯამით ლოსაბერიძე მეორე ადგილზეა (635), ხოლო ზებინისო რუსტამოვა (ტაჯიკეთი) მას ერთი ქულით უსწრებს (636). ცხადია, ბრძოლა ჯერ წინ არის და რაიმე დასკვნების გამოტანა ნაადრევია. საქართველოს დანარჩენმა მშვილდოსანმა ქალებმა შესაბამისად ასეთი შედეგები აჩვენეს: ლ. ტოპოროვა — 30-ე (580), გ. რიუამაძე — 33-ე (576), ე. გოლუბოვა — 36-ე (575) ადგილი.**

ვაჟებმა შეჯიბრების პირველ დღეს 90 და 70-მ-ზე სროლაში იასპარეზეს. ამ დისტანციების პირველი სტარტების ჯამით დაწინაურდა ვ. ეშეევი (რსფსრ) — 629 ქულა. საქართველოდან საუკეთესო შედეგი აქვს ნ. მიქელაძეს — 558 ქულა და ჯერჯერობით 39-ე ადგილზეა. დანარჩენებს ასეთი შედეგები აქვთ: ვლ. ტროპინი — 45-ე (553 ქულა), ა. კაპიტონოვი — 54-ე (536), ნ. ნოვოსელცევი — 74-ე (500) ადგილი.

ძიუდოისტთა ასპარეზობის მესამე დღეს 86 კილოგრამამდე წონის ათლეტებმა სცადეს ძალები. საქართველოს ძიუდოისტებისაგან ამ წონაში ასპარეზობდა ბ. გოგიჩაშვილი. ამ სპორტსმენმა კარგა ხანია მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება და ბევრი მათგანი სასპარტაკიადო ტურნირის ფავორიტად თვლიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პროგნოზი არ გამართლდა. გოგიჩაშვილმა, მართალია, პირველი შეხვედრა ა. პიხიალასთან (ესტონეთი) მოიგო. მაგრამ მომდევნო ორთაბრძოლა ბელორუს ვლ. სენკევიჩთან წააგო. ახლა მას უნდა დაეცადა, თუ როგორ წარმართავდა ნახევარფინალურ ბრძოლას სენკევიჩი. ეს უკანასკნელი თუ ფინალში გავიდოდა, გოგიჩაშვილს მხოლოდ ამ შემთხვევაში მიეცემოდა სანუგეშო სტარტებში მონაწილეობის უფლება. სენკევიჩი დამარცხდა, და, ცხადია, გოგიჩაშვილმა ბრინჯაოს მედლისათვის ბრძოლის გაგრძელების უფლება დაკარგა. იგი საბოლოოდ რვა საუკეთესოს მიღმა დარჩა და კოლექტივს ჩასათვლელი ქულები ვერ მოუტანა.

71 კგ წონის მოჭიდავეთა ნახევარფინალში შ. თაქთაქიშვილი ქულებით დამარცხდა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთან ნ. ჯაბრანკოვთან. საბოლოოდ თაქთაქიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა და კოლექტივს ქულათა გარკვეული მარაგი შესძინა.

დაამთავრეს ასპარეზობა მოცურავეებმა საქართველოს სპორტსმენებმა საბოლოოდ 160 ქულა დააგროვეს და მეთერთმეტე ადგილზე გავიდნენ. შეჯიბრების ბოლო დღეს ჩვენმა მოცურავეებმა საქართველოს ორი რეკორდი დაამყარეს: 4X100 მ-ზე თავისუფალი სტილით (ქალები) ცურვაში (4.10, 27) და ი. კუშპელიოვმა 400 მ-ზე კომპლექსურ ცურვაში (4.42,05). რეკორდები რეკორდებია. მაგრამ ეს და კიდევ სხვა რესპუბლიკური მიღწევები საკმარისი არ აღმოჩნდა ხელშესახები წარმატების მოსაპოვებლად. და მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა ზოგიერთმა მოცურავემ გზა გაიკაფა ფინალურ ოქტეტებში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ კოლექტივი დაადალატა ი. ომელჩენკომ. იგი წლის განმავლობაში უპასუხისმგებლოდ იქცეოდა, აცდენდა ვარჯიშებს და ცხადია, ამას არც მისთვის და არც გუნდისათვის სასიკეთო არაფერი მოუტანია. მოცურავეთა გუნდურ ასპარეზობაში უძლიერესნი იყვნენ მოსკოველები.

საბოლოოდ დაჯამდა მძლეოსანთა სასპარტაკიადო ასპარეზობის შედეგები. საქართველოს სპორტსმენებმა ამ სახეობაში 180 ქულით მეცამეტე ადგილი დაიკავეს. წინ გაგვისწრეს რუსეთის ფედერაციის (1945 ქულა), უკრაინის (1627,5), ლენინგრადის (1500,5), მოსკოვის (1313,5), ბელორუსიის (1060); ლიტვის (479), ყაზახეთის (398), ლატვიის (386), ესტონეთის (262), ყირგიზეთის (258,5), უზბეკეთის (245) და მოლდავეთის (219) ნაკრებმა კოლექტივებმა.

„გაქცეულ ტახზე" სროლაში საქართველოს წარმომადგენელმა ა. გოროდიანკინმა მე-7 ადგილი დაიკავა (576 ქულა), მაგრამ იმის გამო, რომ წინა ექსეულში მოხვდა უნგრელი ტ. ბოდნარი, გოროდიანკინმა გუნდურ ჩათვლაში მეექვსე ადგილისათვის განკუთვნილი ქულები მოგვიტანა.

საბოლოო შედეგები დაჯამდა სასტენდო სროლაშიც. აქ სასანგრო და მრგვალ სტენდზე ასპარეზობათა ჯამით პირველობა მოიპოვა მოსკოვის ნაკრებმა (97 ქულა). საქართველოს მესტენდურეები 72 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდნენ. ეს ქულები მათ მხოლოდ მრგვალ სტენდზე მიიღეს. ჩვენს მსროლელებს სასანგრო სტენდზეც სტაბილურად რომ ეასპარეზათ, ცხადია, გუნდურ ჩათვლაში პირველობას არავის დაუთმობდნენ.

საქართველოს კალათბურთელმა ვაჟებმა, რომლებიც ნახევარფინალურ ტურნირში მონაწილეობენ, გუშინ დაამარცხეს ბელორუსები — 75:68. დღეს კი თავად დამარცხდნენ ჩეხოსლოვაკიელებთან — 84:109.

**მხატვრულ ტანვარჯიშეთა ტურნირში აბსოლუტურ პირველობაში სამი ვარჯიშის შემდეგ წინ იყო ე. ტომასი (რსფსრ), რომელსაც 28,9 ქულა ჰქონდა. მეორე ადგილზე იყო მსოფლიო ჩემპიონი ი. დერიუგინა (უკრაინა)— 28,85, მესამე-მეოთხე ადგილს იყოფდნენ ი. გაბაშვილი (საქართველო) და ლ. ბერეუნაია (უკრაინა) — 28,5-28,5.**

## უკანასკნელ საათს!

**მოისარ ქალთა ორი დღის ასპარეზობის შემდეგ პირველობას კვლავ ზ. რუსტამოვა (ტაჯიკეთი) ინარჩუნებს. მას 1440 შესაძლებლიდან 1282 ქულა აქვს. ქეთევან ლოსაბერიძე ლიდერს 3 ქულით ჩამორჩება. ლიდერებს ფეხდაფეხ მისდევენ ნ. ბუტუზოვა (უზბეკეთი) — 1277, ო. როგოვა (უზბეკეთი) — 1272, ტ. კუზნეცოვა (აზერბაიჯანი) — 1262 და ლ. შიკოტა (რსფსრ) — 1256.**

## ნინ ფინალია!

**ფეხბურთელთა** სასპარტაკიადო ტურნირის ნახევარფინალისტებისათვის ქვეჯგუფებში ჩასატარებელი მესამე ტურის მატჩებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რვა გუნდიდან ფინალში გასვლის შესაძლებლობას შვიდი გუნდი ინარჩუნებდა.

და აი, ოთხმა გადამწყვეტმა მატჩმა გამოავლინა ორი უძლიერესი კოლექტივი, რომლებიც 5 აგვისტოს შეხვდებიან ერთმანეთს ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში. ესენი არიან მოსკოვის და საქართველოს ნაკრებები. მოსკოველებმა დაამარცხეს უკრაინელები — 2:0, ხოლო საქართველოს ნაკრებმა — ლენინგრადელები — 4:2. ქართველი ფეხბურთელებიდან ბურთები გაიტანეს გუცაევმა, დარასელიამ და ჩელებაძემ — 2 (ერთი გოლი — თერთმეტმეტრიანი საჯარიმოდან).

ასე რომ, განმეორდა 1956 წლის სპარტაკიადის მაგალითი, როცა ფინალში ერთმანეთს მოსკოვისა და საქართველოს გუნდები შეხვდნენ. მაშინ მოსკოველებმა გაიმარჯვეს (2:1), წლეულს კი ვნახოთ, ვინ იქნება უძლიერესი.

მესამე-მეოთხე ადგილებისთვის ბრძოლაში 4 აგვისტოს უკრაინელები შეხვდებიან რუსეთის ფედერაციის გუნდს, რომელმაც ნახევარფინალური ტურნირის ბოლო მატჩში დაამარცხა ყაზახეთის ნაკრები — 4:0 (რსფსრ ნაკრებმა იმდენივე ქულა დააგროვა, რამდენიც საქართველოს გუნდმა — 4, მაგრამ მას ნაკლები ბურთი ჰქონდა გატანილი, ვიდრე საქართველოს გუნდს და საბოლოოდ ქვეჯგუფში მეორე ადგილს დასჯერდა).

## სპარტაკიადის საერთო გუნდური ჩათვლის ტაბლო

მდგომარეობა

1 აგვისტოსათვის

| | | |
|---|---|---|
| 1. | რსფსრ | 8395,2 |
| 2. | უკრაინა | 7024,5 |
| 3. | მოსკოვი | 6514,4 |
| 4. | ბელორუსია | 4834,3 |
| 5. | ლენინგრადი | 4571,2 |
| 6. | ყაზახეთი | 2359,6 |
| 7. | საქართველო | 1922,8 |
| 8. | უზბეკეთი | 1864 |
| 9. | ლიტვა | 1851 |
| 10. | ლატვია | 1703,5 |
| 11. | ესტონეთი | 1603,9 |
| 12. | სომხეთი | 1377 |
| 13. | მოლდავეთი | 1242 |
| 14. | აზერბაიჯანი | 1127 |
| 15. | ყირგიზეთი | 858,5 |
| 16. | ტაჯიკეთი | 418,8 |
| 17. | თურქმენეთი | 360 |

შენიშვნა: ცხრილში შედის მხოლოდ ზაფხულის VII სპარტაკიადის შედეგები. მოსწავლეთა XV სპარტაკიადისა და ახალგაზრდულ ასპარეზობათა შედეგების გათვალისწინებით საქართველოს სპორტული დელეგაცია მე-8 ადგილზეა.



## გამარჯვებულთა კვარცხლბეკი

ძიუდო

86 კგ.

1. ა. ბარკალაევი (რსფსრ),
2. ა. კაშინცევი (მოსკოვი),
3. ი. ასკუი (კუბა) და ვლ. სენკევიჩი (ბელორუსია).

ბ. გოგიჩაშვილი 8 საუკეთესოში ვერ მოხვდა.

საგამოძიებო პრაქტიკიდან

# დანაშაული მოხდა

**დანაშაული** მოხდა.... დამნაშავემ კანონის საზღვრები გადალახა, ხელყო ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ღირსება, პატივი, საზოგადოების ინტერესები, მისი სიმდიდრე.

უნდა დავიცვათ დარღვეული კანონი, აღვადგინოთ სამართლიანობა, დავსაჯოთ დამნაშავე — აი ამ საქმეს ემსახურებიან საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები.

საგამოძიებო დარგის მუშაკები ენერგიას, მონდომებას, ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებენ, რათა დანაშაული გახსნან და დამნაშავეს მიაგნონ. მაგრამ ამ ამოცანის გადასაწყვეტად მარტო ზემოჩამოთვლილი თვისებები საკმარისი არ არის.

თანამედროვე ეტაპზე დამნაშავეობასთან ბრძოლა მეცნიერულ საფუძვლებზე ხორციელდება. ამ მეცნიერებას კრიმინალისტიკა ეწოდება. მართლმსაჯულების სამსახურშია ბიოლოგია, ანალიზური ქიმია, ტექნიკური ფიზიკა, სამეცნიერო ფოტოგრაფია, ფსიქოლოგია და სხვა მეცნიერებები, მაგრამ კრიმინალისტები უბრალოდ, მექანიკურად კი არ იყენებენ მეცნიერების მიღწევებს, არამედ ისე გადაამუშავებენ მათ, რომ თავიანთი პრაქტიკული მიზნებისათვის, ესე იგი დანაშაულის გახსნისათვის გამოიყენონ.

დამნაშავე დანაშაულის ჩადენის ადგილზე, როგორც იტყვიან, თავის პასპორტს არ ტოვებს. მაგრამ აქ მაინც რჩება მისთვის შეუმჩნეველი კვალი, მაგალითად, თითების ანაბეჭდები.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში შეამჩნიეს, რომ თითების დაბოლოებაზე ხაზების ქარგა უაღრესად ინდივიდუალურია და ადამიანის სიცოცხლის მთელ მანძილზე უცვლელი რჩება. ეს თვისება კრიმინალისტიკის საჭიროებისათვის იქნა გამოყენებული. თითის ანაბეჭდის მეშვეობით არა ერთი სისხლის სამართლის საქმეა გახსნილი.

ამჟამად დამნაშავის ვინაობა შეიძლება დავადგინოთ არა მარტო თითების, არამედ სხეულის სხვა ნაწილების (ფეხის, ხელისგულისა და სხვ.) ანაბეჭდებითაც. მაგალითად, გაგრის ერთ-ერთ სანატორიუმში ოთახში დამნაშავე შეიპარა, რომელიც დამსვენებელმა შენიშნა. დამნაშავემ მას დანით ოთხი ჭრილობა მიაყენა. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ცემენტის კიბის მოაჯირზე ხელისგულის სისხლიანი კვალი აღმოჩნდა. მართალია, ცემენტის უსწორო ზედაპირი ქარგას ამახინჯებს, მაგრამ თანამედროვე ტექნიკის გამოყენებითა და ამ ანაბეჭდის მეშვეობით დამნაშავე ამხილეს.

კრიმინალისტიკაში დიდ როლს ასრულებს სისხლის კვალი, რომელიც თითქმის ყოველთვის რჩება, როდესაც დანაშაული დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლის ხელყოფასთან. გასულ საუკუნეში დანაშაულის ჩადენის ადგილზე აღმოჩენილი სისხლის ლაქები ბევრს ვერაფერს შველოდა გამოძიებას. საქმარისი იყო მკვლელობაში ეჭვმიტანილს ეთქვა, ქათამი დავკალი და ტანსაცმელზე სისხლის ლაქა ამიტომ დამაჩნდაო, რომ ბრალდება მოეხსნოდა.

XIX საუკუნის დასასრულს რუსმა მეცნიერმა, პროფესორმა ფ. ჩისტიაკოვმა დიდი სამსახური გაუწია კრიმინალისტიკას. მან აღმოაჩინა ადამიანის და ცხოველის სისხლის გარჩევის მეთოდი. ამის შემდეგ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები თავის გასამართლებლად ხან ამბობდნენ, სისხლი ცხვირიდან წამსკდაო, ხან კი — თითი გავიჭერიო.

ცოტა ხნის შემდეგ ჩეხმა მეცნიერმა ი. იანსკიმ, რომელიც ადამიანის სისხლის ბიოლოგიურ შედგენილობას სწავლობდა, შეძლო იგი ოთხ ჯგუფად დაეყო. ეს აღმოჩენა მაშინვე გამოიყენეს კრიმინალისტებმა.

ამჟამად მეცნიერება კიდევ უფრო წინ წავიდა. დადგენილია, რომ ადამიანის სისხლი იყოფა არა მხოლოდ ჯგუფებად, არამედ ტიპებადაც. პოლონელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს განსხვავება ქალისა და მამაკაცის სისხლს შორის.

იგივე შეიძლება ითქვას ნერწყვზე, ოფლსა და ადამიანის ორგანიზმის სხვა გამონაყოფებზე. მაგალითად, ჩხრეკის დროს ერთ-ერთმა მოქალაქემ ჯიბიდან ქაღალდის რამდენიმე ფურცელი ამოიღო და ღეჭვა დაუწყო, როცა მას პირიდან ქაღალდი ამოაცალეს, დაღეჭილი ფურცლები უკვე უფორმო მასად ქცეულიყო და მელნით ნაწერი ტექსტიც მთლად გადიშალა. კრიმინალისტებმა მაინც შეძლეს ქაღალდის აღდგენა და ტექსტის წაკითხვა, რაც ეჭვმიტანილი პირის დანაშაულს ადასტურებდა.

ამჟამად კრიმინალისტები სასამართლო ფოტოგრაფიის დახმარებით ადგენენ საბუთზე გაკეთებულ ყოველგვარ სიყალბეს. ულტრაიისფერ და ინფრაწითელ სხივებში იკითხება არა მარტო სისხლის ლაქებით, არამედ მელნითა და საღებავებით დაფარული ნაწერიც კი. ისინი აღადგენენ წაშლილ ტექსტებს, სიცოცხლეს უბრუნებენ ცეცხლის ზემოქმედებით დაკარგულ სიტყვებს, აშკარავებენ სიყალბეს, მიწერილ ტექსტებს.

ყველასათვის ცნობილია, მაგალითად, ა. პუშკინისა და დანტესის საბედისწერო დუელის შედეგები, მაგრამ უკანასკნელ წლებამდე არავინ იცოდა, თუ როგორ გადარჩა დანტესი, რომელსაც პუშკინის პისტოლეტიდან გასროლილი ტყვია მოხვდა. კრიმინალისტ ვ. საფრონოვის მიერ ჩატარებული სასამართლო ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ დანტესს ტანსაცმლის ქვეშ აბჯარი ეცვა. დღევანდელ პირობებში სასამართლო ბალისტიკა უშეცდომოდ ადგენს, რა იარაღი გამოიყენა დამნაშავემ, სად იმყოფებოდა მსროლელი, რა მანძილი გაიარა ტყვიამ, როგორია მისი ტრაექტორია და ა. შ.

ქ. თბილისის ერთ-ერთ დაწესებულებაში ბანკიდან მიიღეს საკმაოდ დიდი თანხა ხელფასების დასარიგებლად. იმავე დღეს მთელი ხელფასის გაცემა არ მოხერხდა. დილით კი გამოირკვა, რომ სეიფი გაეტეხათ და ფული გაეტაცებინათ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას სეიფის გვერდით კედელში ხვრელი აღმოჩნდა. მის ნაპირებზე დარჩენილი ნაწიბურების შესწავლით დადგინდა, რომ კედელი ხვრეტელათი გაეჭრათ, მაგრამ ხვრელი იმდენად პატარა იყო, რომ მასში მხოლოდ ბავშვის ხელი თუ შეეტეოდა. დაიბადა აზრი, რომ დამნაშავე პატარა ტანისა იყო და შესაძლოა შეყოფისას ხელიც გაფხაჭნოდა. ოთახის კარ-ფანჯრები შემტვრეული არ იყო. ამიტომ ვარაუდობდნენ, რომ ფული ამავე დაწესებულების თანამშრომლის მიერ იქნებოდა გატაცებული. გამახვილდა ყურადღება იმაზე, რომ ერთ-ერთი თანამშრომელი ხელშეხვეული დადიოდა. როდესაც სახვევი მოხსნეს, აღმოჩნდა, რომ ხელი გაკაწრული ჰქონდა. ეჭვმიტანილმა განაცხადა, ხელი შინ სამზარეულოში გავიკაწრეო.

კრიმინალისტებმა ნაკაწრების დამახასიათებელი დეტალებით, დაადგინეს, რომ ეჭვმიტანილს ხელი სწორედ იმ ხვრელის ნაწიბურებზე ჰქონდა დაზიანებული. გარდა ამისა, დადგინდა სეიფის ლითონისა და იმ მტვრის ერთგვაროვნება, რომელიც დამნაშავის პიჯაკზე აღმოაჩინეს.

ყველაფერს თავისი ისტორია აქვს, მათ შორის ყალბისმქნელობასაც. იმ დროიდან, რაც გასანთლულ ფიცარზე, პაპირუსზე ან რაიმე სხვა საგანზე ადამიანის ხელით დაწერილმა სიტყვებმა ვინმეს გამდიდრების, ვიღაცისათვის ძალაუფლების მინიჭების ძალა მოიპოვა, გაჩნდნენ დამნაშავეებიც, რომლებიც ცდილობდნენ მიმსგავსებით ასეთი ყალბი ტექსტების შექმნას.

ის, რომ ხელწერა ინდივიდუალურია და არსებობდა ერთი ნაწერის მეორისაგან გარჩევის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, დიდი ხანია ცნობილი იყო. მაგრამ არ იცოდნენ, თუ როგორ დაედგინათ განსხვავება მათ შორის.

ახლა ჩვენი ცოდნა იმდენად დიდია, რომ სპეციალისტს შეუძლია უშეცდომოდ დაადგინოს თითოეული მოქალაქის ხელწერა.

პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი, როდესაც კრიმინალისტებმა დაადგინეს ძველი დოკუმენტის ავტორი. იგი ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი აღმოჩნდა.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას აგრეთვე საგამოძიებო პრაქტიკაში მთელის დადგენაზე მისი ნაწილების მიხედვით და კვალის მნიშვნელობაზე (ტრასოლოგიური ექსპერტიზა).

და, ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ, რაც უფრო უკეთ იმუშავებენ კრიმინალისტები, რაც უფრო ამაღლდება დანაშაულის გახსნის მეცნიერების დონე, იმდენად შემცირდება დანაშაულის შემთხვევები, ესე იგი ამ მეცნიერების გამოყენების საჭიროება. მაგრამ იმ დროისათვის კრიმინალისტიკის შინაარსი ალბათ შეიცვლება, სხვა მიმართულებას მიიღებს, სხვა მიზნებსა და ამოცანებს დაისახავს.

**გ. ციმაკურიძე,**
საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, „კომუნისტის" საზოგადოებრივი მისაღების წევრი.

## ემზადებიან სპარტაკიადისათვის



მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში კიევში გაიმართება საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა ტექნიკურ სახეობათა სპორტში.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პარაშუტისტთა ნაკრები, რომელიც ახლახან შეუდგა მზადებას ლაგოდეხში. ნაკრების შემადგენლობაში არიან სახელგანთქმული სპორტსმენები მსოფლიო რეკორდსმენები ვ. ბონდარენკო, ე. ლოგინოვა, ნ. უშმაევი, ო. სინებორი და სხვები.

სურათებზე: საქართველოს პარაშუტისტთა ნაკრები ემზადება საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისათვის.

ხ. ვართანიანცის ტექსტი და ფოტო.

ჩვენს არემარეში

ინფორმაცია—79

## სიკეთე და მადლიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მეცნიერების** დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ალექსანდრე წერეთელმა, ამ ჩინებულმა მკვლევართველმა და პატრიოტმა საზოგადო მოღვაწემ, რომელმაც სახელმძღვანელობის შექმნითა და პედაგოგიური მოღვაწეობით დიდი ღვაწლი დასდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძველი რომისა და ძველი საბერძნეთის ისტორიის სწავლებას, სახელი იმითაც მოიხვეჭა, რომ იყო უაღრესად გულისხმიერი პიროვნება, ადამიანების უანგარო დამხმარე და გზის მაჩვენებელი. მან, კერძოდ, დიდი წვლილი შეიტანა სამშობლო სოფლის — ცხრუკვეთის ახალგაზრდობის სწავლა-განათლებაში.

ხალხი ამაგს არავის უკარგავს და აი ცხრუკვეთის (ჭიათურის ზონა) მშრომელებმა ალ. წერეთლის სახლ-მუზეუმის გახსნა გადაწყვიტეს, ექსპონატების შეგროვება კი მის ძმას — გამოჩენილ მეცნიერს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნიკოლოზ წერეთელსა და ალ. წერეთლის ქვრივს მარიამ ჩუბინაშვილ-წერეთელს სთხოვეს.

ამ დღეებში სახლ-მუზეუმი უკვე გაიხსნა.

ა. ივანიძე.

## ნაფიჩხოვო ლამაზდება

**ჩხოროწყუ.** (საკ. კორ. ბ. მილიუტინი) მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება რაიონის უშორესი მთის სოფელი ნაფიჩხოვო. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე რ. გოგუა) აქ ააშენა სავაჭრო ცენტრი, ბაგა-ბაღის შენობა და მაღაზია ლედარსალეს უბანში. ორ კილომეტრზე გამოიყვანეს „ლეშონის წყარო". მოზრდილ ღელეებზე „ხურუსა" და „შეხეზე" რამდენიმე ადგილას ხიდები ააგეს.

სოფლის მთავარ ქუჩაზე ღამით ლამპიონები ჩახჩახებს. მოხრეშეს სასოფლო გზები. ამჟამად მიმდინარეობს სასმელი წყლის გაყვანის სამუშაოები, რომლის დამთავრების შემდეგ სოფელი სასმელი წყლით იქნება უზრუნველყოფილი.

## გმირთა ხეივანში

**ამბროლაური.** (საკ. კორ.). რიონის მარჯვენა სანაპიროზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საცდელ ნაკვეთს ტყე-პარკი „ნარისკალი" ამშვენებს. ამ დღეებში აქ, „გმირთა ხეივანში", 230 შინმოუსვლელი ტექნიკუმელის სახელობის ტანაყრილი ხეების გვერდით, დაიდგა ორიგინალური მემორიალი, იგი 1949 წლის 14 აპრილს ტყვეთა ბანაკში ვერაგულად მოკლულ უფროს ლეიტენანტს იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილს ეძღვნება.

იაკობის დედულეთი რაჭაშია, სოფელ ბაჯში, სვანიძეთა უბანშია. ჭაბუკობისას არა ერთი დღე გაუტარებია მას მშობელ ხალხთან, თანატოლებთან, ოცდაათიანი წლების ტექნიკუმელებთან.

## კულტურის სასახლე

**ზუგდიდი.** (საკ. კორ. გ. ნოდია). ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მუშაკებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. ეს არის კულტურის სასახლე, რომლის მცირე დარბაზი 200, ხოლო დიდი დარბაზი 600 მაყურებელს იტევს. სასახლეს აქვს მოძრავი სცენა, სამსახიობო, სარეჟისორო, ბიბლიოთეკის, ბავშვთა სექციის და წრეების სამუშაო ოთახები. სასახლე გარედან მოპირკეთებულია ექლარის ქვით, შიგნით კი ხის ლამაზი ფილებით. მისი ეზო დაამშვენა დეკორატიული ფილებით ნაგებმა აუზმა და ყვავილნარმა.

მექაღალდეებმა აქ პირველად ქართული ქაღალდის დაბადების 40 წელი იზეიმეს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

**2 აგვისტო**

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ), 09.40 — „სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადის დღიური" (მ.), 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.00 — სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაზე (მ.), 18.00 — განცხადებები (ფ.), 18.05 — მოსწავლეთათვის — „ცვლა", 19.05 — კინონარკვევი, 19.15 — მოქალაქე, საზოგადოება, კანონი, 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — დოკუმენტური ფილმი „შეხვედრები მარინასთან", 20.40 — სტუმრად თელავის თეატრში (ფ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაზე" (მ.), 23.00— დღეს მსოფლიოში (მ.), 23.15 — სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაზე (მ.).

მეორე პროგრამით

17.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქალბატონი — გლეხი გოგო", 18.15 — განცხადებები (ფ.), 18.25 — საესტრადო კონცერტი, 18.55 — „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ". დოკუმენტური ფილმი „ნაირამდალი — მეგობრობა" (ფ.).

თეატრი

**2 აგვისტო**

მეგრების პლაგო — ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 15510 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.